პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
4 სექტემბერი
1941 წ.
№ 209 (6214)
ფასი 15 კაპ.

7143
ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს საუკეთესო შვილები ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში შედიან

საბჭოთა ხალხის წმინდათა-წმინდა განმათავისუფლებელმა ომმა გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ, რომელნიც ვერაგულად დაესხნენ თავს სსრ კავშირს, ყველანი ფეხზე დააყენა ჩვენს ქვეყანაში. მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებმა, საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენებმა შეამჭიდროვეს თავიანთი რიგები, კიდევ უფრო მტკიცედ დაიოზმნენ თავიანთი ხელმძღვანელის — ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, რომელიც გამოცდილი და გამოწრთობილია ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლებში.

დიდია ბოლშევიკების პარტიის ავტორიტეტი ხალხში, უსაზღვროა სიყვარული მისადმი. მშრომელთა ფართო მასებს ბოლშევიკური პარტია თავიანთ მახლობელ და მშობლიურ პარტიად მიაჩნიათ. ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის, როდესაც მას იერიში მიჰქონდა სინდელებზე, როდესაც იგი თავის ძალღონეს იკრებდა, რათა საფრთხე აეცილებინა საშშობლოსათვის, პარტიის რიგებში შედიოდნენ ყველაზე მამაცი, ყველაზე ერთგული და თავდადებული ადამიანები, რომელნიც ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი პარტიის საქმის, თავიანთი ხალხის საქმის სიმართლეში და მზად იყვნენ ყოველგვარი მსხვერპლი გაეღოთ გამარჯვებისათვის. ასე არის ახლაც. დღითი-დღე მტკიცდება ჩვენი პარტიის კავშირი მასებთან. ხალხის საუკეთესო შვილები ჩვენს პარტიაში შედიან, თავიანთ ბედს, მთელ თავიანთ სიცოცხლეს უკავშირებენ მას.

1924 წელში საბჭოების მე-2 სრულიად-საკავშირო ყრილობაზე ილიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიტყვაში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენ, კომუნისტები, — განსაკუთრებული აგებულების ხალხი ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ—ისინი ვართ, რომელნიც შეადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება, — ეკუთვნოდე ამ არმიას; არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის წოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ამხანაგი ლენინია. ყველას როდი შეუძლია იყოს ასეთი პარტიის წევრი. ყველას როდი შეუძლია აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, უზომო შევიწროებათა და გმირულ თავდადებათა შვილები—აი ვინ უნდა იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრები“.

სამშობლოს საუკეთესო შვილები, მედგარნი, მამაცნი, ძლიერნი, მაღალ ადამიანურ ღირსებათა ადამიანები, ისინი, ვინც არც თავის ძალღონეს, არც თავის სიცოცხლეს არა ზოგავს, თავგამოდებით სჭედავს გამარჯვების ფაშიზმის გამხეცებულ ბანდეზე, ისინი, ვინც გმირულად იცავს ჩვენი მიწა-წყლის მთლიანობას, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას, ამ დღეებში თავიანთ ცხოვრებას და ბრძოლას უკავშირებენ მუშათა კლასის ავანგარდს, ლენინ-სტალინის პარტიას.

უღრმესი პატრიოტიზმით, დიდად საყვარელი ბოლშევიკური პარტიისადმი დიადი მამაშვილური სიყვარულით არის გაჟღენთილი მრავალი განცხადება წითელ არმიისა და სამზედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებისა და მეთაურებისა, დამკვრელებისა და სტახანოველებისა, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებისა, რომელთაც სურთ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შესვლა. ყოველ ასეთ განცხადებაში ისინი ფიცს სდებენ, რომ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი იქნებიან, მთელ ძალღონეს მოახმარებენ სამშობლოს დაცვას, გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებას.

აი უმცროს სერჟანტ ამხ. პროკოფიევის განცხადება, რომელიც მან მომქმედი არმიის ერთერთი ნაწილის პარტორგანიზაციაში შეიტანა: „მამაჩემი,—სწერს ამხ. პროკოფიევი,—კომუნისტი იყო. 1919 წელს იგი დაეცა თეთრფინელთა ტყვეობით განგმირული, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას იცავდა. მე მამაცურად ვებრძოლებ გერმანიის გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ. ვთხოვ პარტიულ ორგანიზაციას მიმიღოს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად. კომუნისტის სახელწოდებას ბრძოლაში გავამართლებ“.

ფრონტის პარტიული ორგანიზაციები პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს იცავენ და საკ. კ. პ. (ბ) რიგებში იღებენ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ღირსნი არიან ამ მაღალი პატივისა. ბრძოლების წინ, მოსასხლეტ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმის წინ, ბევრი ჩვენი მამაცი მეომარი იღებს ბოლშევიკურ პარტიულ ბილეთს და თან მიიკვლს ბრძოლაში, როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ წმინდა ბრძოლის დროშა, როგორც სიმბოლო უშიშარობისა და დაუძინებელ მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენისა.

ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედიან პარტიზანები, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს სწირავენ ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ ბრძოლას ზურგში. ხშირ ტყეებში, ხრამებში, შენიღბულ სახლრებში—ყველგან, სადაც პარტიზანები უსაფრდებიან ფაშისტ ბარბაროსებს, იკრიბებიან ბოლშევიკები, რათა პარტიის რიგებში მიიღონ ახალ-ახალი წევრები და კანდიდატები. ერთერთ ასეთ კრებაზე არჩევდნენ პარტიზან ამხ. მ-ჩის განცხადებას საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მისი მიღების შესახებ. როდესაც კრების თავმჯდომარემ მას მისცა სიტყვა, პარტიზანმა ქუდი მოიხადა, წელზე ხელყუმბარების კონა გაისწორა და სთქვა:

— მამაჩემი რკინიგზელი იყო, ძმები ახლა წითელ არმიაში არიან. მე თვითონ დეპოს მემანქანე ვიყავი. პარტიზანი იმისთვის გავხდი, რომ სამაგიერო მივუზღო ფაშისტ ყაჩაღებს მოკლული საბჭოთა ადამიანებისათვის, შეურაცხყოფილი ქალებისათვის, ნაწამები ბავშვებისა და მოხუცებისათვის, დანგრეული ქალაქებისა და დადამწვარი სოფლებისათვის. სიკვდილი სიკვდილისა წილ და სისხლი სისხლისა წილ! ამ ლოზუნგით წავალ ბრძოლაში. ჩემი სიცოცხლე ხალხს და ბოლშევიკურ პარტიას ეკუთვნის. აი რათ შემოვიტანე განცხადება, აი რათ მინდა ვიყო კომუნისტი.

კრებამ ერთხმად მიიღო პარტიზანი პარტიაში.

პარტიისაკენ მოისწრაფვიან შრომის გმირები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საუკეთესო სტახანოველები და დამკვრელები, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკები.

ფრუნზეს სახელობის მოტორმშენებელ ქარხანაში პარტიის კანდიდატად მიღებულ იქნა საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი ეფრემ იუდინი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ლენინის ორდენით დააჯილდოეს. ომის დღეებში მან უდიდესი მუშაობა გასწია წარმოების პროცესთა დასაჩქარებლად, ბევრი შემოქმედებითი ინიციატივა შეიტანა სტალინური ავიაციის განმტკიცების საქმეში. ტომოშენკოს სახელობის ქარხანაში პარტიის კანდიდატად მიღებულ იქნა ოსტატი ამხ. კურიდოვი, რომელიც სანიმუშოდ ხელმძღვანელობს თავის სამუშაო უბანს, გადამეტებით ასრულებს პროგრამას, ახდენს წარმოების რაციონალიზაციას და რომელმაც უმოკლეს ვადაში აითვისა ორი სახის ახალი ნაწარმი.

პარტიაში მიღების ორგანიზაციის საქმეს ბოლშევიკები მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ასე უნდა იყოს ახლაც, დიდი სამამულო ომის დღეებშიც. მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ახლა განსაკუთრებული გაქანებით უნდა სწარმოებდეს. საუკეთესო ადამიანთა მიღების გზით პარტიის ზრდა მაჩვენებელია თვითეული პარტორგანიზაციის მუშაობის დონისა და ხარისხისა, მასებთან მისი კავშირისა, მასებზე მისი გავლენისა. უპარტიოთა ფართო აქტივი, რომელიც განუზომლად გაიზარდა ომის დღეებში, პარტიული რიგების ზრდის წყაროა. საჭიროა მუდამ კავშირი გვქონდეს ამ აქტივთან, ვზრდიდეთ მას.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებში, მოწინავე მუშებში, კოლმეურნეებში, ინტელიგენტებში ძლიერია მისწრაფება შევიდნენ პარტიაში. პარტიული ორგანიზაციების ვალია დაეხმარონ ღირსეულთ შევიდნენ პარტიაში, აღზარდონ ახალგაზრდა კომუნისტები, ლენინურ-სტალინური სულისკვეთებით გამოაწრთონ ისინი. არასწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც შეასუსტეს მუშაობა პარტიის ზრდის დარგში, რომელნიც „ვერ იცლიან“ პოლიტიკური მუშაობისთვის და იმისთვის, რომ იზრუნონ პარტიის რიგების შევსებაზე შემოწმებული პატრიოტებით, რომელნიც პარტიის კარებს უკაკუნებენ.

ამასთან, ბუნებრივია, პარტიულმა ორგანიზაციებმა უსასტიკესად უნდა დაიცვან პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინური პრინციპი, პარტიის რიგებში მიღების წესი. უნდა გვახსოვდეს და არ უნდა დავივიწყოთ წარსულის გაკვეთილი, როდესაც უზრუნველობის, „ხელაღებით“ მიდგომის შედეგად პარტიაში შეძვრნენ უღირსი, ხოლო ზოგჯერ მტრულად განწყობილი ადამიანებიც.

ლენინ-სტალინის პარტიაში ადგილი იმათ აქვთ, ვინც თავისი ცხოვრებით, გმირული შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ დამტკიცა და ახლაც ამტკიცებს თავის ერთგულებას ჩვენი დიდი საქმისადმი. ესენი არიან გმირი წითელარმიელები, წითელფლოტელები და მეთაურები, ვინც უშიშრად მიუძღვის წინ მასებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ესენი არიან მოწინავე ადამიანები, ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების სტახანოველები და დამკვრელები, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლნი,—ისინი, ვინც ჩვენი ქვეყნის თავდაცვითს ძლიერებას ამაგრებს, ვინც საბჭოთა იარაღის ძალას ადიდებს. ესენი არიან ადამიანები, რომელნიც მზად არიან სიცოცხლე გასწირონ მტერზე გამარჯვებისათვის, ის ადამიანები, რომელნიც გმირული შრომით სჭედავენ პირსისხლიან ფაშიზმზე გამარჯვებას.

„პრავდის“ მოწინავე, 3/IX.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 სექტემბრის დილის ცნობა

2 სექტემბერს ღამით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტერთან ბრძოლებს მთელს ფრონტზე.

ჩვენი ავიაცია განაგრძობდა იერიშებს მტრის მოტომექანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგ და თავს ესხმოდა ავიაციას მის აეროდრომებზე.

• • •

ორდენოსან მეთაურ ემაჩენკოს ნაწილმა, რომელიც მნიშვნელოვან ზღუდეს იცავდა, ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელთა მე-135 ქვეითი პოლკის რამდენიმე გაფთრებული იერიში მოიგერია. ღამით ნაწილი კონტრიერიშზე გადავიდა. წითელარმიელებმა სიბნელით ისარგებლეს და უშუალოდ მიადგნენ მტრის სანგრებს. ამხ. მერკულოვის ქვედანაყოფმა გერმანელთა მოწინავე ხაზები გადაჰქელა, მტრის განლაგებაში შეიჭრა და მტერს ავიწროებდა. უკუქცეულ გერმანელებს დახვდა უფროსი ლეიტენანტის ოკოგინის ჩასაფრებული ქვედანაყოფი. ფაშისტები რკალში მოიმწყვდიეს. ამხ. ემაჩენკოს ნაწილის მებრძოლებმა ტყვიამფრქვევისა და თოფის ცეცხლით და ხელჩართული ბრძოლით გაანადგურეს მტერი. მათ ხელთ იგდეს 2 ნაღმტყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, გერმანელთა ათობით ტყვიამფრქვევი და ავტომატი, ნაღმებისა და ვაზნების დიდი მარაგი. გერმანელთა მე-135 ქვეითი პოლკის ნაშთები გაფანტულ იქნა.

• • •

მამაცურად მოქმედებენ წითელარმიელი შოფერები, რომლებსაც საომარი მასალა და სხვა სამხედრო ტვირთები გადააქვთ ფრონტის მოწინავე პოზიციებზე მტრის ცეცხლქვეშ. გერმანელთა ნაღმმტყორცნმა ცეცხლი გაუხსნა შოფერ დმიტრიჩენკოს ავტომანქანას. გულადმა შოფერმა ნაღმების სკდომის დროს სწრაფად ჩააქრო ცეცხლი, მანქანა საფარში გაიყვანა და დაიწყო ჭურვების მიტანა ქვემეხებთან. ამხ. დმიტრიჩენკო არაერთხელ მოხვდა ფაშისტთა არტილერიისა და ავიაციის ცეცხლში, მაგრამ ყოველთვის ვადაზე მიჰქონდა ტვირთები დანიშნულებისამებრ. საომარი მოქმედების განმავლობაში მის მანქანას არცერთი ავარია არა ჰქონია და არც დაზიანებულა.

უნარიანად მუშაობენ პოლიტელ იუდინის ქვედანაყოფის შოფერები. საომარი მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში ქვედანაყოფს დანაკლისი არა ჰქონია. საომარი მასალის ტვირთით დატვირთულ ჩვენს ავტოკოლონაზე თავდასხმისას ფაშისტთა თვითმფრინავმა ცეცხლი გაუჩინა ერთერთ ავტომანქანას. შოფერმა ლევკინმა იმის მიუხედავად, რომ შეიძლებოდა დაღუპულიყო, კოლონიდან გაიყვანა ცეცხლმოდებული მანქანა, ცეცხლი ჩააქრო და თავიდან აიცილა აფეთქება. ამ დღეებში ფაშისტთა არტილერიამ სროლა აუტეხა საომარი მასალით დატვირთული ავტომანქანების კოლონას, შოფერებმა — პოდურუშინმა და ანდრიევსკიმ სწრაფად გადმოტვირთეს მანქანები, ცოცხით წავიდნენ სანგრებისაკენ და დროზე მიუტანეს მებრძოლთ საომარი მასალის ყუთები.

• • •

ბელორუსი პარტიზანები დაუნდობლად იძიებენ შურს ჰიტლერელთა ურდოებზე. პარტიზანული რაზმები ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მაგრდებიან და იწრთობიან, გამოცდილებას იძენენ და იწრთვნებიან. პარტიზანული რაზმი მეტყევე ამხ. მ-ს მეთაურობით თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს სურაჟში. დაბაში იმყოფებოდა გერმანელთა განადგურებული მე-137 ქვეითი დივიზიის პოლკების 300-მდე ჯარისკაცი. პარტიზანები ღამით შეიჭრნენ დაბაში, გარს შემოადგნენ სახლებს, რომლებშიც ფაშისტები იყვნენ დაბინავებული, და ხელყუმბარები დააყარეს მათ. დარჩენილი გერმანელები ფანჯრებითა და კარებით გაიქცნენ აქეთ-იქით, მაგრამ მათ ყველგან სწვდებოდა ტყვია. დაბიდან წამოსვლამდე პარტიზანებმა გარნიზონის კანცელარია გაანადგურეს, ხელთ იგდეს მთელი მიწერ-მოწერა და თან წამოიღეს 10-ზე მეტი ავტომანქანა, 20 მოტოციკლეტი, 12 ტყვიამფრქვევი, 50-მდე ავტომატი და დიდძალი საომარი მასალა.

• • •

ამასწინათ პარტიზანული რაზმი თავდაცვა-ავიაქიმის მუშაკ ამხ. დ-ს მეთაურობით თავს დაესხა გერმანელთა სამარშო ასეულს, რომელიც რეჩიციდან გომელში მიდიოდა. გზაში პარტიზანები ჩასაფრდნენ. ტყვიამფრქვევის პირველი სროლითვე მოკლულ და დაჭრილ იქნა 20-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი. მოწინააღმდეგემ სცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ პარტიზანებმა ხელიდან არ გაუშვეს ინიციატივა. პარტიზანთა სარეზერვო ჯგუფის მიერ ხიშტით მიტანილმა იერიშმა გადასწყვიტა ბრძოლის ბედი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი შაშხანა და ავტომატური იარაღი. დილით გერმანელებმა ხუთი სატვირთო მანქანით წაიღეს დახოცილი ფაშისტების გვამები.

ბევრ პარტიზანულ რაზმში გამოყოფილია სნაიპერთა ჯგუფები. გზებზე, ტყეებსა და ხევებში სნაიპერები უსაფრდებიან და ხოცავენ ფაშისტებს. იმ პარტიზანული რაზმის სნაიპერებმა, რომელსაც სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. მეთაურობს, აგვისტოში ლიოზნოს რაიონში გაქელიტეს 16 მოტოციკლისტი, 9 ოფიცერი, მწყობრიდან გამოიყვანეს 12 სატვირთო და 5 მსუბუქი მანქანა. ლეპელის რაიონში სნაიპერმა პარტიზანებმა ტყვია დაუშინეს და ცეცხლი წაუკიდეს ფაშისტთა გამანადგურებელს, რომელიც მიწაზე დაეშვა.

• • •

ნათესავების წერილები, რომლებიც ტყვედ წამოყვანილ თეთრფინელ ჯარისკაცებს აღმოაჩნდათ, იმას მოწმობენ, რომ ფინეთში ანტისაომარი განწყობილება იზრდება. რეზერვისტმა სივოლაინენმა ცოლისაგან მიიღო სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილი. იგი იწერება: „არმიაში შენი წაყვანისთანავე ბინიდან გამომასახლეს. უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დავრჩი ბავშვებიანად. შენ კი რაღაც მიწებისათვის გაომებენ. ვის რათ უნდა ეს? მომწერე როგორ მოვიქცე“. ასეთივე უსიხარულო ამბავი მოუვიდა სახლიდან რეზერვისტ ლახტინენს. ცოლი სწერს: „დღეს ჩემთან სახლის პატრონი პიტკიანენი შემოვიდა და მითხრა: თუმცა კონტრაქტის ვადა მალე არ გადის, მაგრამ შეცვლილი ვითარების გამო ბინა მაინც უნდა გამითავისუფლოო. სად უნდა წავიდე ბავშვებიანად? მე მესმის, რომ მას ქირის მომატება სურს, მაგრამ მე სადღა ვიშოვნო ფული?“. არტილერისტ ბერგსტრემის ცოლი თავის წერილში წარმოუდგენელ გაჭირვებას ასწერს და ასკვნის: „მძიმე დრო დაგვიდგა. ყველგან კვნესა და ტირილია. დედები და შვილები, ძმები და დები მოკლულებსა და დასახიჩრებულებს დასტირიან, დასტირიან აგრეთვე ცოცხლებსა და უვნებელთ, მაგრამ განწირულთ. არ ვიცი სწორედ რა უნდა ვქნა. ახლა არაფერს არ გვაძლევენ, და ბავშვებს საჭმელი არ გააჩნიათ. ტყეში დავდივარ, კენკრას ვაგროვებ და ბავშვებს ფაფით ვკვებავ“. რეზერვისტის ძმა, ერთერთი ქარხნის ზეინკალი, იწერება: „დღეში 15 საათს ვმუშაობ, საჭმელი კი არ გამაჩნია... კარგი დღე არ დაადგება მათ, ვინც ეს საზიზღარი ომი წამოიწყო. ისინი პასუხს აგებენ მრავალი ადამიანის დაღუპვისა და სისხლის დაღვრისათვის. მაგრამ მოვესწრებით კი მე და შენ ამ ბედნიერ დღეს?“.

• • •

უდიდესი ზარალი, რაც გერმანელ ფაშისტთა ჯარს მოსდის, და რუსეთის სუსხიანი ზამთრის სიახლოვე შეშფოთებას იწვევს გერმანიის არმიის ბევრ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რიგებში. ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ტყვედ დაგვნებდა გერმანელთა მე-95 დივიზიის მე-280 ქვეითი პოლკის 73 ჯარისკაცი. ტყვედ დანებების წინ ჯარისკაცებმა მოჰკლეს თავიანთი ასეულის მეთაური, ობერ-ლეიტენანტი ვილჰელმ შმიდტი, რომელიც დახვრეტის მუქარით ერეკებოდა ასეულს საიერიშოდ. ტყვედ დანებებულმა გერმანელმა ჯარისკაცმა ვილი ვეონერმა განაცხადა: „მოგვქანცა ამ წყეულმა ომმა, რომელიც ჰიტლერმა წამოიწყო. ხელისუფლებისა და მსოფლიო ბატონობის წყურვილმა გააბრუა ეს არამზადა და მისი პირსისხლიანი დამქაშები, რომლებმაც დაიმონეს არა მარტო ევროპის ბევრი ხალხი, არამედ თავის საკუთარი ხალხიც“.

ეფრეიტორი იოზეფ კერშენშტაინერი, რომელიც ტყვედ ჩაგვივარდა უკრაინაში, აღნიშნავს: „წარსულ კვირას ჩვენს პოლკში ორი ჯარისკაცი დახვრიტეს იმისათვის, რომ მათ უკმაყოფილება გამოსთქვეს რუსეთთან ომის გამო. ეს ომი ყველაზე არაპოპულარულია იმ ომებს შორის, რომელიც კი ოდესმე უწარმოებია გერმანიას“. თავის პოლკის ამხანაგებს იოზეფ კერშენშტაინერი სწერს: „ძვირფასო ამხანაგებო! დღეს ტყვედ ჩავუვარდი რუსებს. ამხანაგებო, თქვენ ჩემსავით გწადიათ ზავი. ბოლო მოუღეთ ომს. გადმოდით წითელი არმიის მხარეზე. ომის შემდეგ ჩვენ კვლავ დავბრუნდებით სამშობლოში ჩვენს მშობლებთან, ცოლებთან, ძმებთან და დებთან“.

ჰიტლერის აგენტების თავხედური პროვოკაცია თეირანში

თეირანი, 2 სექტემბერი (საკ. ფსი). 30 აგვისტოს, 10 საათსა და 20 წუთზე, თეირანმა მოულოდნელად განიცადა საჰაერო ბომბარდირება, რომელმაც 11 საათამდე გასტანა. როგორც ახლა გამოირკვა, ბომბარდირება მოახდინა რამდენიმე ახალგაზრდა ირანელმა მფრინავმა ოფიცერმა. ამას წინ უძღოდა შემდეგი გარემოება: ირანის ავიაციის უფროსმა განკარგულება გასცა თვითმფრინავები ანგარებში შეეყვანათ, ხოლო მფრინავთა ნაწილს ყაზარმებში მოეყარათ თავი. მაგრამ რამდენიმე ირანელმა მფრინავმა ოფიცერმა განაცხადა, რომ ისინი ბრძანებას არ დაემორჩილებიან, იმოქმედებენ ინგლისის და საბჭოთა ჯარების ნაწილების წინააღმდეგ და თეირანის ბომბარდირებას მოახდენენ. ეს ოფიცრები თავის განზრახვას იმით ასაბუთებდნენ, რომ ისინი არ ეთანხმებიან ირანის მთავრობის გადაწყვეტილებას საბჭოთა და ინგლისის ჯარების წინსვლისათვის წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტის შესახებ. 31 აგვისტოს, დილით, ეს ირანელი მფრინავები—ოფიცრები, რომლებიც ირანის მთავრობის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილნენ, კვლავ გამოჩნდნენ თეირანის თავზე და ქალაქის ბომბარდირება მოახდინეს. ყველა საფუძველი არსებობს იმის მტკიცებისათვის, რომ აღნიშნული ირანელი მფრინავები მოქმედებდნენ გერმანელი ფაშისტების პირდაპირი წაქეზებით, რომლებმაც თავისი დანაშაულებრივი ბუნება გაიკეთეს ირანში და გავლენა აქვთ ირანის ოფიცრობის ერთ ნაწილზე. გერმანიის საინფორმაციო ბიუროს პროვოკაციული ლაყბობა იმის შესახებ, რომ თეირანის ბომბარდირება ვითომც საბჭოთა თვითმფრინავებმა მოახდინეს, ვერავის შეიყვანს შეცდომაში, ვინაიდან ჯერ კიდევ 30 აგვისტოს ირანის სამხედრო მინისტრმა დაადასტურა ფაქტი ბრძანების არ შესრულებისა ირანელი მფრინავების მიერ, რომლებიც აფრინდნენ და ქალაქის ბომბარდირება მოახდინეს. საჭიროა აღინიშნოს, რომ დღემდე გამორკვეული არ არის, მიიღო თუ არა ირანის ხელისუფლებამ რაიმე ზომები იმ ირანელი მფრინავების მოსაძებნად და დასასჯელად, რომლებმაც თეირანის ბომბარდირება მოახდინეს და შემდეგ თვითმფრინავებით გაიქცნენ გამოურკვეველი მიმართულებით.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბერლინსა და ფრანკფურტზე

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკ. ფსი). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ 2 სექტემბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს სამხედრო ობიექტებზე ბერლინის რაიონში და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში.

ინგლისის ავიაციის ბომბარდირების ძირითადი ობიექტი იყო ბერლინი და ფრანკფურტი. ფრანკფურტში განსაკუთრებით ინტენსიური ბომბარდირება განიცადეს რკინიგზის ჩაზმა და სამრეწველო ობიექტებმა. ბერლინზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ უდიდესი ყუმბარმშენები. თავდასხმის შედეგად ბერლინში უდიდესი ხანძრები გაჩნდა. შემჩნეული იქნა, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა სამრეწველო შენობებს.

ნითელი არმიის უფროსი და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებებით, გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული არიან: ლენინის ორდენით—20 კაცი, წითელი დროშის ორდენით—326 კაცი, წითელი ვარსკვლავის ორდენით—300 კაცი, მედლით „მამაცობისათვის“—287 კაცი, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“—87 კაცი.

ამერიკელი ჟურნალისტი თურქეთის საზღვარზე გერმანიის, იპაღლის და ბულგარეთის ჯარების კონცენტრაციის შესახებ

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკ. ფსი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ამერიკელმა რადიოკომენტატორმა აგრონსკიმ თავის გამოსვლაში რადიოთი ანკარაში განაცხადა, რომ თურქეთის საზღვარზე გერმანიის, იტალიის და ბულგარეთის ჯარების გაძლიერებული კონცენტრაცია ხდება. აგრონსკიმ განაცხადა, დაჟინებით დადის ხმები, რომ თურქეთის წინააღმდეგ გერმანელების იერიში გარდუვალიაო.

შოტლანდიის ტრედუნიონთა გენსაბჭოს მისაღმება

საბჭოთა კავშირის ფითელი არმიისა და მუშებისადმი

ედინბურგი, 2 სექტემბერი (საკ. ფსი). შოტლანდიის ტრედუნიონთა გენსაბჭო, რომელიც წარმოადგენს ტრედუნიონებში ორგანიზებულ 500 ათასზე მეტ მუშას, თავის რეზოლუციაში მისალმებას უგზავნის საბჭოთა კავშირის წითელ არმიასა და მუშებს, რომელნიც გმირულ გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ ნაციონალ-სოციალისტურ ურდოებს.

შოტლანდიის ტრედუნიონთა წევრები, ნათქვამია რეზოლუციაში, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ გერმანიის გამცემლური თავდასხმა საბჭოთა კავშირზე სამარცხვინო მარცხით დამთავრდება და ბრიტანეთის იმპერიისა და სსრ კავშირის, მათი მოკავშირეებისა და მომხრეების ერთობლივი წინააღმდეგობა მსოფლიოს იხსნის ნაციონალ-სოციალისტური ფაშისტური ტირანიისაგან.

შოტლანდიის ტრედუნიონები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არსებული მდგომარეობა მოითხოვს ინგლისისა და რუსეთის მთავრობებსა და ხალხებს შორის სრული სამხედრო და ეკონომიური თანამშრომლობის დაწესებას, და სრულს სოლიდარობას უცხადებენ თავიანთ რუს მოკავშირეებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 სექტემბრის საღამოს ცნობა

3 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მედგარ ბრძოლებს მტერთან მთელს ფრონტზე.

1 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია და აეროდრომებზე მოსპობილია მტრის 39 თვითმფრინავი. ჩვენ 27 თვითმფრინავი დაკარგეთ.

• • •

საბჭოთა მფრინავები ლენინგრადის მისადგომებზე კვლავ წარმატებით ანადგურებენ მტრის ავიაციას. მტრის 70-მდე თვითმფრინავი, ეფარებოდა რა მოღრუბლულობას, თავს დაესხა დიდ აეროდრომს. მტერს შეხვდა ჩვენი ავიაგამანადგურებლების ჯგუფი. გაჩაღდა საჰაერო ბრძოლა, რომლის შედეგადაც ჩამოგდებულ იქნა ფაშისტთა 11 თვითმფრინავი. ამ ბრძოლაში დიდი ოსტატობა და სიმამაცე გამოიჩინა უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ლაზარევმა. მან გაბედულად მიიტანა იერიში მტრის თვითმფრინავების ჯგუფზე და მოსპო 5 „იუნკერს-87“. უმცროსმა ლეიტენანტმა ნოვიკოვმა ჩამოაგდო ორი „იუნკერს-87“ და ერთი „მესერშმიტი“. მეორე დღეს ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის სახმელეთო ჯარებზე 50-100 მეტრის სიმაღლიდან, მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 20 ავტომანქანა და ბევრი საბარგული.

• • •

ჩვენმა დაზვერვამ ცნობა წარმოადგინა, რომ ფრონტისაკენ გზატკეცილით მოდიოდა ფაშისტთა მოტოკოლონა. უფროსი ლეიტენანტი პოლიკარპოვი, სერჟანტი მოტიგინი და წითელარმიელი კოჩეტკოვი ხელყუმბარების კონებით შეიარაღდნენ, მტრის ქვემეხებისა და ნაღმმტყორცნების ცეცხლქვეშ ჭაობზე გავლით მიცოცდნენ გზატკეცილთან და გზის პირას თხრილში ჩასაფრდნენ. მალე გზაზე გერმანელთა ტანკები გამოჩნდნენ. როდესაც წინა მანქანა 15 მეტრზე მოახლოვდა, თხრილიდან ტანკებს მუხლუხოებქვეშ ხელყუმბარების კონები სტყორცნეს. ორი ტანკი გაჩერდა. ხელყუმბარების ერთი კონისაგან ცეცხლი გაუჩნდა საწვით სავსე ავტოცისტერნს. გაჩერებულ კოლონას სროლა აუტეხა ჩვენმა არტილერიამ. ფაშისტთა მანქანები გაფანტულ იქნენ.

• • •

დ-ის რაიონში ფრონტისაკენ მომავალ გერმანელთა ნაწილების გასანადგურებლად გაფრინდა მაიორ ნესტეროვის ავიანაწილი. საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბლა ფრენით იერიში მიიტანეს გერმანელთა ჯარების კოლონაზე, რომელიც გაჭიმული იყო 5-6 კილომეტრის მანძილზე. გერმანელების მზადება იერიშისათვის ჩაშლილ იქნა. ჩვენმა ავიაციამ მოსპო 700-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი, 80 ავტომანქანა, 12 ქვემეხი, 6 საზენიტო დანადგარი და რამდენიმე ტანკი. როდესაც კოლონა გაფანტული იყო, ჰაერში გამოჩნდნენ გერმანელთა ავიაგამანადგურებლები. „მესერშმიტები“ თავს დაესხნენ ლეიტენანტ კოპილოვის საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავების რგოლს, მაგრამ ზემოდან გერმანელებს საბჭოთა ავიაგამანადგურებლები ეკვეთნენ. გერმანელმა მფრინავებმა ორი „მესერშმიტი“ დაჰკარგეს და გაიქცნენ.

• • •

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებამ „კარგი საბრძოლო მუშაობისათვის სამხედრო სანიტარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

ხალხის ფიცი

მომქმედი არმია, 1 სექტემბერი (საკდესი). თენდებოდა... ღამის წყვდიადში მაღალი ფიჭვები და ფართო მინდორი გამოჩნდა. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული სასოფლო გზა დაისახა. უკაცური, მიყრუებული ადგილია...

უეცრად 10 კაცი გამოვიდა უღრანი ტყიდან. მათი ტანისამოსი ნამისაგან იყო დასველებული და დამძიმებული.

მათს მახვილ ყურამდე მოაღწია ძლივს გასაგონმა გუგუნმა, რომელიც ხის ტოტებში ქარის შრიალს მოგაგონებდათ. სწრაფად, უფუსფუსოთ ათივე კვლავ ტყეში გაჰქრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მრავალი შავი წერტილი გამოეფინა გზაზე. გერმანელი მოტოციკლისტები სრული სიჩქარით მოექანებოდნენ და როგორც კი პირველი 30 მოტოციკლისტი ტყესთან მიიჭრა, უეცრად აკაკანდა ორი ტყვიამფრქვევი, ატაკაცუნდნენ შაშხანები. 5 მეწინავე მოტოციკლისტი დაეცა, თითქოს მოსცელესო.

მოტოციკლისტებმა სწრაფად შეაჩერეს მანქანები და შექუჩდნენ. ტყის მგრგვინავი გამოძახილი ხელს უშლიდა მათ გამოერკვიათ, საიდან — წინიდან, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან—მოდიოდა ტყვიის სეტყვა. ისინი შიშით გზას ვერ სცილდებოდნენ, ალალბედზე დაუწყეს სროლა ხეებს, ბუჩქნარებს, პარტიზანების ტყვია აუცდენელად სცემდა გერმანელებს: გაშლილ გზაზე ისინი საუცხოო სამიზნოს წარმოადგენდნენ.

ყველაფერი მხოლოდ რამდენიმე წამს გრძელდებოდა. მოტოციკლისტების პირველი ტალღა უკან გაბრუნდა, დაეჯახა მეორე ტალღას, რომელიც თან გაიყოლია, და გზაზე 14 გერმანელი ჯარისკაცისა და 2 ოფიცრის გვამი დასტოვა.

ტყიდან გამოსულმა პარტიზანების ჯგუფმა ერთერთი მათგანის ჯიბეში შტაბის მიწერ-მოწერა და ბრძანებები აღმოაჩინა. გერმანელთა მოტოციკლები და ვაზნები პარტიზანებმა იარაღად გამოიყენეს...

ისინი 10 კაცი იყო, თითქოს მცირე სამხედრო „ერთეული". მაგრამ გერმანელთა ძლიერი ღამის პატრული გზაზე გამოვიდა და ვერარ დაბრუნდა; გზაში გაიჩხირნენ ჯარების კოლონები და საომარი საჭურვლითა და სურსათით დატვირთული აღალები. ზედიზედ აფეთქებულ იქნა 5 ხიდი.

ასეთი უჩინარი რაზმები ასობითაა. მტრის მიერ დაპყრობილი მიწა ვარვარებს მის ფეხთქვეშ.

დიდხანს და ამაოდ დასდევდნენ ფაშისტები ამხანაგ ბ-ს რაზმს. ბოლოს, მათ უძლური გაფთრებით შეპყრობილებმა, ძვირად შეაფასეს მისი თავი და გამოაცხადეს ეს ყველა სოფელში, ხოლო ამხანაგმა ბ-მ ამის შემდეგ გერმანელებს ცხვირწინ გამოაცალა და ჩვენი ნაწილების ბანაკში მორეკა რქიანი პირუტყვის დიდი პარტია.

გერმანელები მაშველ ძალებს უყრიდნენ თავს მნიშვნელოვან პუნქტთან. მათმა მზვერავმა და მებრძოლმა დამცველმა რაზმებმა ვერაფერი შეამჩნიეს და ისე გაიარეს. გზის გასწვრივ გაჭიმული ტყე უკაცური და მდუმარე იყო. მაგრამ, როცა მთავარი ძალები მოვიდნენ, ტყე უეცრად ამეტყველდა. ბათქითა და ტყვიამფრქვევების წყებით მოსპობილ იქნა ფაშისტთა კოლონები. გერმანელმა ჯარისკაცებმა არივ-დარიეს რიგები და მოჰკურცხლეს, თან ასობით გვამი დასტოვეს. შემდეგ ფაშისტებმა გრიგალისებური სროლა აუტეხეს ტყეს. მაგრამ ჯავრი ძათ მხოლოდ როკებსა და ტოტებზე იყარეს: 40 პარტიზანი თავის მეთაურ ამხ. ა-თურთ დიდი ხანია მიიმალა.

პარტიზანები ყველგან ასწრებენ. ფაშისტები მათ ვერსად ვერ ემალებიან. გერმანელთა ჯარის დიდი ნაწილის შტაბი ქალაქ ლ-ს მახლობლად იყო მოთავსებული. ისმოდა საბეჭდი მანქანების ჩხრაკუნი, რეკავდა ტელეფონი. შტაბოფიცრები საიდუმლო მოხსენებებს სწერდნენ. არავინ ჰფიქრობდა, რომ იქვე სულ ახლოს, პარტიზანთა რაზმი იყო მიმალული. 12 ოფიცერი ხმაურით მიემართებოდა შტაბისაკენ. ისინე ისე გრძნობდნენ თავს, როგორც შინ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მარჯვედ გასროლილი ყუმბარა ოფიცერთა ჯგუფის შუაგულში დაეცა. რამდენიმე გასროლამ საქმე დაამთავრა. 12 კაციდან მხოლოდ ერთი გადარჩა.

ფაშისტთა კოლონა სოფელ მში შეჩერდა. იქ იყო მოტოქვეითი ჯარი სატვირთო მანქანებზე, მოტოციკლები, მრავალი ავტომატი, ტყვიამფრქვევი. უცნობმა მოწინააღმდეგემ ღამით ყოველი მხრიდან იერიში მიიტანა კოლონაზე. თავზარდაცემული, დაბნეული ფაშისტები ბრძოლას გაექცნენ. ჯარისკაცები ჩამოხტოდნენ სატვირთო მანქანებიდან, მოტოციკლისტები სტოვებდნენ მანქანებს და სიბნელეში მირბოდნენ. ამ მოტორიზებული კოლონის დამძლევი იყო 25 პარტიზანი.

პარტიზანები — ეს არის ხალხი. ისინი იბრძვიან იმ მიწაზე, რომელმაც გამოზარდა და გამოჰკვება ისინი. პარტიზანებმა იციან, რომ ისინი ყოველ სოფელში სასურველი სტუმრები არიან, რომ მათ შეიფარებენ, აჭმევენ, დაეხმარებიან. ხალხის დაძლევა შეუძლებელია. ადამიანებმა, რომელნიც აღსდგნენ ფაშისტთა ჩექმის მიერ გათელილი თავიანთი შშობლიური მიწისათვის, არ იციან, თუ რა არის შიში.

ის, ვინც პარტიზანულ რაზმებში შევიდა, ურღვევ ფიცსა სდებს.

აი, ერთი ფურცელი ქაღალდი. იქ ფანქრით დაწერილია შემდეგი სიტყვები:

„მე, წითელი პარტიზანი, ჩემს პარტიზანულ ფიცსა ვდებ ჩემი მებრძოლი ამხანაგების წინაშე, რომ ვიქნები გაბედული, დისციპლინიანი, მტკიცე და მტრისადმი ულმობელი. ფიცსა ვდებ, რომ არასოდეს არ გავცემ ჩემს რაზმს, ჩემს მეთაურებს, კომისრებსა და ამხანაგ პარტიზანებს, მუდამ შევინახავ პარტიზანულ საიდუმლოებას, თუნდაც ეს სიცოცხლედ დამჯდეს. ჩემი სიცოცხლის აღსასრულამდე ერთგული ვიქნები ჩემი სამშობლოსი, პარტიისა, ჩემი ბელადისა და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინისა. თუ ეს წმინდა პარტიზანული ფიცი დავარღვიო, დაე სასტიკი პარტიზანული სასჯელი იყოს ჩემი ხვედრი..."

ეს არის ამხანაგ ს. რაზმის პარტიზანების ფიცი. მრისხანე, მტრისათვის საშინელი ფიცი! ეს არის ხალხის ფიცი.

მებრძოლთა წერილები მომქმედი არმიიდან

„ხელში ავიღეთ იარაღი. ჩვენმა ტყვიამ უკვე მრავალ ქოფაკ ფაშისტს მოუსპო სიცოცხლე, ჩვენი ხიშტები მათი სისხლით შეიღება. იარაღს არ გავუშვებთ ხელს, სანამ გვეყოფა ძალა მკლავში, სანამ უკანასკნელ ფაშისტს არ გავსრესთ. ჩვენი ხალხი არავის დაემონება".—გვწერენ წითელარმიელები **ავთანდილ გველესიანი** და **აკაკი ჩიხლაძე.**

სამშობლოს, დიდი საბჭოთა ხალხის ნდობით აღჭურვილი წითელი მებრძოლები უშიშრად მიდიან მტერზე და ყოველი თავისი მოქმედებით ამართლებენ ამ დიდ ნდობას. „28 ივლისი,—ამბობს უმცროსი სერჟანტი **ლ. საყვარელიძე** თავის წერილში,—ჩემთვის მეორედ დაბადებაა. ამ დღეს მე მომანიჭეს უმცროსი სერჟანტობა, ჩამაბარეს წითელ მებრძოლთა ჯგუფი, გამომიცხადეს ნდობა, რომ შევძლებ ხელმძღვანელობა გავუწიო სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლებს. კიდევ უფრო მეტი ენერგიით, მეტი პასუხისმგებლობით ვიმოქმედებ. არ დავიშურებ თვით სიცოცხლესაც დედა-სამშობლოსათვის, სტალინისათვის".

ასეთივე პატრიოტული გრძნობით აღსავსე წერილს გვწერს უფროსი სერჟანტი **ლავრენტი მოსეს-ძე ალავიძე.** „ჩვენ ორი ძმა ვართ ფრონტზე, — სწერს ლ. ალავიძე. — თვითეულს ასი სიცოცხლე რომ გვქონდეს, ვანაცვალებთ ჩვენს დიად საბჭოთა ხალხს".

წითელ მებრძოლთა ყოველი წერილი, დაწერილი ბრძოლიდან ბრძოლამდე შესვენების დროს, საბოლოო გამარჯვების ღრმა რწმენით არის გაჟღენთილი. „ორი წელიწადია, რაც ჰიტლერი და მისი ხროვა „ეძებენ" საფლავს და ბოლოს მიაგნეს. საბჭოთა ქვეყანაში გაუთხრის მათ ჩვენი გმირული წითელი არმია ამ საფლავს", — სწერს წითელარმიელი **დავით გიორგის-ძე თიკანაძე.**

წითელარმიელი **ლადო კობახიძე** კი სწერს თავის დედას: ...„ჰიტლერული გერმანიის ზრახვები ჩვენი ქვეყნის დამონებისა ვერ ეღირსება განხორციელებას. საბჭოთა ხალხის სიძლიერეს ვერავითარი ძალა ვერ გასტეხს. შენისთანა დედები, ჩემო კარგო დედა, საბჭოთა კავშირში მილიონებია. მათ შვილებთან ერთად მეც ვიბრძვი ვერაგი მტრის შესამუსრავად. შეიძლება ამ სასტიკ და შეუპოვარ ბრძოლაში მე გამგმიროს მტრის ტყვიამ, მაგრამ იცოდე, ჩემო ძვირფასო დედა, რომ ჩემი უკანასკნელი სიტყვები იქნება ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებელი სიტყვები. ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშა ერთ წუთსაც არ დაიხრება ძირს. ჩვენი ქვეყნის პატრიოტები ამ დროშას ამაყად გაატარებენ ამ დიდ სამამულო ომში მტერზე სრულ გამარჯვებამდე".

შ. გვინჩიძე

მომქმედი არმია. სურათზე: მამაცი მზვერავი წითელფლოტელები მ. ა. ლოსევი (მარჯვენივ) და ვ. ნ. ლეონოვი.

ფოტო ე. ხალდეისი (საკდესის ფოტოქრონიკა).

„ყველაზე არაპოპულარული ომი, როგორიც კი გერმანიას როდისმე უწარმოებია"

მომქმედი არმია, 2 სექტემბერი. ფრონტის უკრაინის უბანზე მომქმედ გერმანელთა ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდით. მტკიცედ იცავენ წითელი არმიის მებრძოლნი და მეთაურნი ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას. ფაშისტთა დამსხვრეული ტანკები, ქვემეხები და ნაღმმტყორცნები ჰყრია ქალაქ კ-ს მისასვლელებზე.

საშინელი დანაკლისი ადამიანთა და ტექნიკის მხრივ, „ელვისებური" ომის ჰიტლერული გეგმების დამსხვრევა და რუსეთის სუსხიანი ზამთრის მოახლოება, ყოველივე ეს შეშფოთებას იწვევს გერმანიის ჯარების რიგებში. ამას მჭერმეტყველურად მოწმობენ ჯარისკაცთა წერილები, რომელნიც ნაპოვნია სანგრებში, საიდანაც გერმანელები განდევნილ იქნენ. ამას ლაპარაკობენ ტყვე ჯარისკაცები და ოფიცრები.

ქალაქ კ-ს რაიონში ტყვედ დაგვნებდა მე-95 დივიზიის მე-280 ქვეითელთა პოლკის 73 ჯარისკაცი. მათ წინასწარ მოჰკლეს თავისი ასეულის მეთაური ვილჰელმ შმიდტი, რომელიც იარაღის დამუქრებით მოერეკებოდა მათ კარგად გამაგრებულ საბჭოთა ბლინდაჟებისა და სანგრებისაკენ.

— ჩვენ დავიღალეთ ჰიტლერის მიერ წამოწყებული წყეული ომისაგან, — ამბობს მე-6 ასეულის ჯარისკაცი ვილი ვერნერი. ძალაუფლებისა და მსოფლიო ბატონობის წყურვილმა გააბრუა ეს არამზადა და მისი პირსისხლიანი ხროვა, რომელმაც დაიმონა არა მარტო ევროპის პატარა ხალხები, არამედ თავისი საკუთარი ხალხიც. ჩვენ დიდი ხანია გადაწყვეტილი გვქონდა თქვენს მხარეზე გადმოვსულიყავით. მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ვუცდიდით. გუშინ, როგორც იქნა, ეს შემთხვევა მოგვეცა.

აღმოსავლეთის ფრონტზე ომის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, შეშფოთება მოიცავს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის რიგებსაც. ეფრეიტორი იოზეფ კერშენშტაინერი, რომელიც უკრაინაში დაბა ბ-სთან ტყვედ იქნა წამოყვანილი, მოგვითხრობს:

— გასულ კვირას ჩვენს პოლკში ნაციონალ - სოციალისტური პარტიის ორი წევრი დახვრიტეს. მათ რუსეთთან ომის გამო უკმაყოფილება გამოსთქვეს. ეს ომი ყველაზე არაპოპულარული ომია, როგორიც კი გერმანიას როდისმე უწარმოებია.

თავისი პოლკელი ამხანაგებისადმი მიმართულ წერილში იოზეფ კერშენშტაინერი სწერს:

„ძვირფასო ამხანაგებო, ნუ გეწყინებათ, რომ თქვენთან არა ვარ. დღეს რუსებმა ტყვედ წამიყვანეს. აქ კარგად ვგრძნობ თავს. მე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი ვიყავი. უნდა შევსულიყავი პარტიაში, თორემ ისე სამუშაოს ვერ ვიშოვიდი და ჩემი ოჯახი შიმშილით დაიღუპებოდა. ამხანაგებო, თქვენც, ისე როგორც მე, მშვიდობიანობა გსურთ. ბოლო მოუღეთ ომს, გადმოდით წითელი არმიის მხარეზე! ომის შემდეგ ჩვენ კვლავ დაბრუნდებით სამშობლოში, ჩვენს მშობლებთან, ცოლებთან, ძმებთან და დებთან".

თუ რა დიდი ზარალი მოსდით გერმანელებს, ამას მოგვითხრობს კარლ ლანგრეზე მე-271 ქვეითელთა პოლკის მე-8 ასეულის ეფრეიტორი. ამ ასეულში ლაშქრობის დასაწყისისათვის 160 კაცი იყო, ახლა კი მხოლოდ 40 კაცი დარჩა. პირველმა და მეორე ასეულმა თავისი შემადგენლობის ორიმესამედი მაინც დაჰკარგა.

გერმანელ ჯარისკაცთა წერილებსა და სიტყვებში სულ უფროდაუფრო ხშირად გაისმის დაბნეულობა და შეძრწუნება წითელი არმიის მხრივ დარტყმის მზარდი ძალის წინაშე.

ვ. ხოდაკოვი,
ზ. ლიპავსკი,
საკდესის სპეკკორები.



მომქმედი არმია. სურათებზე: 1. ხაზენიტო ბატარიის ქვემეხის საუკეთესო გაანგარიშება, რომელმაც ჩამოაგდო ფაშისტთა თვითმფრინავი „მესერშმიტ—109". გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის დღეებში ამ ბატარიამ ეს უკვე მეშვიდე თვითმფრინავი ჩამოაგდო. 2. ჩამოგდებული თვითმფრინავი „მესერშმიტ — 109". 3. ფაშისტური ავიაგამანადგურებლების „მესერშმიტ—109" რაზმის მეთაური ობერლეიტენანტი რეინჰარდტ ჰაინი, რომელიც ტყვედ იქნა წამოყვანილი საბჭოთა მეზენიტეების მიერ დაზიანებული თვითმფრინავის დაშვების დროს. რ. ჰაინს უფრენია ინგლისში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. მისი გამოფრენა საბჭოთა ტერიტორიაზე უკანასკნელი აღმოჩნდა.

ფოტო ვ. ტარასევიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გ. გოგოხიას წერილი ფრონტიდან

თვითეულ საბჭოთა დედას, რომლის შვილი მამაცურად იბრძვის სამამულო ომის ფრონტზე, უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსებს ფრონტიდან მიღებული წერილი, სადაც აღწერილია მისი შვილის საბრძოლო საქმიანობა და ცხოვრება. საბჭოთა დედები ამაყობენ თავიანთი შვილების მამაცობითა და საბჭოთა ქვეყნისადმი მათი უსაზღვრო ერთგულებით.

პირველი დიდი სიხარული გიორგი რაჟდენის-ძე გოგოხიას დედას, ვერას მიუტანა სამხედრო სასწავლებლის უფროსის დეპეშამ. „თქვენი შვილი გიორგი ფრიადზე სწავლობს, — სწერდა სასწავლებლის უფროსი ვერას, — იგი ჯანსაღი და დისციპლინიანი ახალგაზრდაა. გმადლობთ ასეთი შვილის აღზრდისათვის. კომუნისტური სალმით სასწავლებლის უფროსი კაპიტანი შუმეიკო".

მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი გიორგი გოგოხია სასწავლებლის დამთავრებისთანავე მომქმედ არმიაში მიდის. ახალგაზრდა მეთაურს მუდამ ახსოვს საყვარელი დედა და პირველი შემთხვევისთანავე უგზავნის ღრმა სიყვარულით გამთბარ წერილს. „ძვირფასო დედიკო! — სწერს გიორგი, — ამჟამად ვიმყოფები მომქმედ არმიაში. ამ წერილს ვწერ სანგარში. ზევით გუგუნით დაფრინავენ გერმანელთა თვითმფრინავები, მაგრამ ჩვენ იმათი არ გვეშინია: საბჭოთა შევარდნებისა და საზენიტო არტილერიისაგან ისინი გამანადგურებელ დარტყმებს ღებულობენ. მე, როგორც მეთაურს, დიდი პასუხისმგებლობა მაწევს. ეს ღრმად მაქვს შეგნებული და ვცდილობ ყოველმხრივ გავამართლო სოციალისტური სამშობლოსა და საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ნდობა. დარწმუნებული იყავი, რომ ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ჩვენ ვიბრძვით და წინ მივიწევთ. გზას გაკაფავს ბრძოლებში ნაცადი რუსული ხიშტი".

ამ ისტორიულ ბრძოლებში გიორგი გოგოხიას სურს მონაწილეობდეს როგორც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრი და ამის შესახებ დედას შემდეგს სწერს: „უდიდესი სურვილი მაქვს გავხდე კომუნისტური პარტიის წევრი".

სოციალისტური ქვეყნის ერთგულ შვილს გიორგი გოგოხიას ენატრება დედა, ამხანაგები, მშობლიური საქართველო, მაგრამ ჩამოსვლას მხოლოდ მტერზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ აპირებს. „ძალიან მინდა ყველას ნახვა, — სწერს გიორგი დედას, — მსურს თქვენთან ერთად დავტკბე ჩვენებური შემოდგომის სილამაზითა და ბარაქით, მაგრამ ჩამოსვლას მხოლოდ მტრის განადგურების შემდეგ. გამარჯვება ჩვენი იქნება. გეხვევი, მაგრად გართმევ ხელს. შენი შვილი გიორგი".

ეშმარიტად უძლეველია ჩვენი ქვეყანა, რომელსაც გმირულად იცავენ გიორგი გოგოხიასთანა პატრიოტთა მილიონები. ისინი გამარჯვებულნი დაბრუნდებიან და დედა-სამშობლო ულრმესი სიყვარულით ჩაიკრავს მათ გულში.

მებრძოლ ვ. ზაუჯაშვილის წერილი ივანესეულში

— საყვარელო ალვასი! თავგანწირულად და წარმატებით ვომობ გამხეცებული გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. ვინ იცის რამდენი მხეცი გავაგორე ბრძოლის ველზე და მე კვლავ კარგად ვარ. მინდა კარგად მყავდეთ თქვენც, შვილები, ოჯახი. აბა შენ იცი, რა ყოჩაღად იმუშავებ კოლმეურნეობაში, — ასე სწერს . მომქმედი არმიიდან სოფელ ივანესეულის (ტყიბულის რაიონი) ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოვური ბრიგადის ყოფილი ბრიგადირი ვანო ზაუტაშვილი ამავე კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველს ალვასი ზაუტაშვილს, რომელიც კოლმეურნეობაში მეჩაიეთა რგოლის ხელმძღვანელად ითვლება. ალვასი ვანოს ცოლია.

ქმრის წერილმა აღაფრთოვანა ალვასი ზაუტაშვილი. მან რგოლის წევრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— ამხანაგო ქალებო! სტახანოვური შრომით დავეხმაროთ წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში, არცერთი ფოთოლი არ დავტოვოთ მოუკრეფავი.

და ალვასი თვითონ არის საუკეთესო მაგალითის მიმცემი. წელს მას კოლმეურნეობაში ჩაის კრეფაზე გამომუშავებული აქვს 282 შრომადღე. ქმრის წერილის მიღების შემდეგ ალვასი ყოველდღიურად მეტსა და მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს. 25 აგვისტოს ალვასიმ 390 პროცენტით შეასრულა დღიური ნორმა, 26 აგვისტოს კი — 550 პროცენტით, 27 აგვისტოს ალვასის რგოლმა მთლიანად, ვადაზე 2 თვით აღრე შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

დ. საგელაშვილი

ცხრა მესაზღვრე — საბჭოთა კავშირის გმირები

საბჭოთა მესაზღვრენი პირველნი შეხვდნენ მტერს, რომელიც მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედალებით დააჯილდოვა ის მესაზღვრენი, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი., ცხრა მესაზღვრეს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭა.

საბჭოთა კავშირის გმირი უფროსი ლეიტენანტი ნ. კაიმანოვი, რომელმაც 22 ივნისს თავის ხელქვეით გააერთიანა სამი სახაზო საგუშაგო და წითელი არმიის ერთი ოცეული, მტრის ორი გაძლიერებული ბატალიონის წინააღმდეგ იცავდა საგუშაგოს. მტერი გარს შემოერტყა მამაც მესაზღვრეებს მათს ბლოკჰაუზებში.

ოცდაორ დღეს და ოცდაორ ღამეს განუწყვეტლივ სწარმოებდა ბრძოლები, და კაიმანოვის პირადი სიმამაცის, მისი უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით მთელი ამ ხნის განმავლობაში მებრძოლები ინარჩუნებდნენ საბრძოლო სულისკვეთებას. საჭირო იყო გადამწყვეტი მოქმედების დაწყება.

კაიმანოვმა გადასწყვიტა მოსაზრებულობით ეჯობნა მტრისათვის. მან ისეთი პირობები შეჰქმნა, ვითომც ერთერთ უახლოეს მაღლობს იცავდა. ფაშისტებმა ამ მაღლობს სროლა აუტეხეს. პასუხად იქიდანაც სროლა გაისმა. მტერმა იერიში მიიტანა ამ მაღლობზე. ფაშისტები ფრთხილად, ბუჩქებს ამოფარებულნი, მიცოცავდნენ მაღლა, ხან ისევ დაბლა ჩამოგორდებოდნენ და კვლავ ფეხზე დგებოდნენ სიძნელეთა გადასალახავად. მაგრამ როდესაც მტერმა ბოლოს, როგორც იყო, მიაღწია მაღლობს, იქ ვერავინ ვერ იპოვნა. ხოლო ამ დროს მტერს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ფლანგიდან.

კაიმანოვის ჯგუფმა ბრძოლების დროს მტრის 60-მდე იერიში მოიგერია. მან მოსპო მტრის ორი გაძლიერებული ბატალიონის შემადგენლობის ნახევარზე მეტი ნაწილი და აიძულა მტერი შეეწყვიტა აქტიური მოქმედება.

საგუშაგოს, სადაც გაიგზავნა რეზერვი უფროს ლეიტენანტ კონსტანტინოვის მეთაურობით, გარს შემოერტყა მტერი, რომლის ძალა დაახლოებით ასეულს შეადგენდა. კონსტანტინოვმა, რომელმაც მესაზღვრეთა მთელი ჯგუფის მეთაურობა იკისრა, გაბედული კონტრიერიში მოაწყო.

22 ივნისის განმავლობაში მან ხუთჯერ წაიყვანა მებრძოლები იერიშზე და უშიშრობისა და სიმამაცის მაგალითებს უჩვენებდა მათ. და ყოველთვის მესაზღვრეთა იერიში წარმატებით მთავრდებოდა

22 ივნისს ღამით მტერმა კიდევ ორი ასეული მოიყვანა და ხელთ იგდო ხიდი. კონსტანტინოვმა კვლავ წაიყვანა თავისი მებრძოლნი სწრაფ კონტრიერიშზე, დიდი ზარალი მიაყენა ფაშისტებს და უკუაგდო ისინი ხიდიდან გაღმა ნაპირზე.

კონსტანტინოვი დაიჭრა, მაგრამ ხელმძღვანელობა არ დაუტოვებია. მან ცოცვით მიაღწია მტრის დაზგის ტყვიამფრქვევთა ბატარიამდე და ხელყუმბარებით მოსპო ორი ტყვიამფრქვევის გუნდი. ამან უზრუნველჰყო მესაზღვრეთა გმირული საგუშაგოს ახალი კონტრიერიშის წარმატება — მათ კვლავ უკუაქციეს მტერი.

საზღვრის ერთერთ უბანზე ფაშისტებმა სცადეს რადაც უხდა დასჯდომოდათ ხელში ჩაეგდოთ გაღმასასელელი, დაეკავებინათ ხიდი. სერჟანტ ი. ბუზიცკოვს დავალება მიეცა არ მოეშვა მტერი ხიდთან.

ბუზიცკოვმა შეუმჩნეველად წაიწია თავისი დაზგის ტყვიამფრქვევით თვით მავთულის ხლართამდე. ოცი მეტრის მანძილზე მან დაინახა ავტომატებით შეიარაღებულ ფაშისტთა ჯგუფი. ეს პირველი ცოცხალი ფაშისტები იყვნენ, რომლებიც ბუზიცკოვმა დაინახა. თვალის დახამხამებაში ისინი ყველანი მკვდრები ეყარნენ — ბუზიცკოვმა ისინი ხელყუმბარებით მოსპო. თავისი ტყვიამფრქვევის ცეცხლით მან ოცეულის მეტი ნაწილი გაანადგურა, დანარჩენი ფაშისტები კი გაიქცნენ.

ხიდთან ბრძოლა მეორე დღესაც გაგრძელდა. ბუზიცკოვი, რომელიც ტყვიამფრქვევის გუნდს მეთაურობდა, ხელსა და ფეხებში დაიჭრა, მაგრამ გამანადგურებელი ცეცხლი არ შეუწყვეტია. მეორე დღის დამლევს იგი, სავსებით ღონეშეხდილი, სამედიცინო პუნქტზე წაიყვანეს.

საგუშაგო, რომელსაც ლეიტენანტი კ. ვეტჩინკინი მეთაურობდა, მტრის გარემოცვაში მოექცა და ვაჟკაცურად იგერიებდა ფაშისტების შემოტევას. მთელი რიგი იერიშების შემდეგ მესაზღვრეებმა შესძლეს რკალის გარღვევა. მათ ბრძოლა გააჩაღეს საგუშაგოდან 100 მეტრის მანძილზე, არტილერიისა და ტყვიამფრქვევების გრიგალისებურ ცეცხლქვეშ. 14 საათის უთანასწორო ბრძოლის განმავლობაში მესაზღვრეები იცავდნენ ამ მიჯნას მაშველი ძალის მოსვლამდე და საშუალებას არ აძლევდნენ მტერს მოეწყო შეტევა კ-ს მიმართულებით.

როგორც კი მოვიდა ცნობა, რომ მაშველი ძალა ახლოვდებოდა, ვეტჩინკინმა თავისი ჯგუფი იერიშზე წაიყვანა და მტერს დიდი ზარალი მიაყენა. მოსულმა მებრძოლებმა დაამთავრეს სწრაფი დარტყმა. პირადად ვეტჩინკინმა მოსპო 10 ფაშისტი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი, რომლებიც ცდილობდნენ ტყვედ ჩაეგდოთ მძიმედ დაჭრილი მესაზღვრე ტრეტიაკოვი, და გამოიყვანა ტრეტიაკოვი მტრის ცეცხლის არედან.

უმცროსმა სერჟანტმა მიხალკოვმა ოთხ მესაზღვრესთან ერთად მიიღო ბრძანება გაედევნა მრავალრიცხოვანი მტერი, რომელმაც საგუშაგოს ბლოკჰაუზი და სანგრები დაიკავა. ფარულად წინ რომ მიიწევდა, მიხალკოვმა შეამჩნია რუმინელი ჯარისკაცები, რომლებიც ბლოკჰაუზის მისადგომებს ნაღმავდნენ. განსაკუთრებული სიმამაცით იგი უშუალოდ მიუახლოვდა რუმინელებს და სტყორცნა ხელყუმბარა, რომლითაც ექვსი ჯარისკაცი მოსპო. მტრის რიგებში შექმნილმა არევ-დარევამ საშუალება მისცა მიხალკოვს გაეწმინდა ბლოკჰაუზი და წაეწია სანგრებისაკენ. მან ხიშტით მოსპო იქ მყოფი ჯარისკაცები და მარჯვე სროლით ინარჩუნებდა პოზიციას მაშველი ძალის მოსვლამდე.

ახლაც სახელოვანი მესაზღვრეები, წითელი არმიის ნაწილებთან შეერთებულნი, მათთან ერთად გამანადგურებელ ლახვარს სცემენ მტერს. ამასწინათ მ-ს ტბასთან მომხდარ ბრძოლაში ბატარია, რომლის პირად შემადგენლობაშიც შედიოდა უმცროსი ლეიტენანტი დივოჩკინი, ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირი, მტრის რამდენიმე ბატარიის ცეცხლქვეშ აღმოჩნდა. მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა.

დივოჩკინის ბატარიაში მწყობრიდან გამოვიდა ერთი ქვემეხი. ცეცხლი გაუჩნდა ჟურვების საწყობს. დივოჩკინმა თავის თავზე აიღო ბატარიის მეთაურობა, მოაწყო ქრობა ჟურვებიანი ყუთებისა, რომლებმაც უკვე იწყეს აფეთქება. წინ მტრის ცეცხლია, ზურგში ცეცხლია, — მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ ბატარიაში არ ყოფილა არავითარი დაბნეულობა, არავითარი პანიკა. მებრძოლებიდან ზოგიერთებს სწრაფად გადაჰქონდათ ჟურვები უშიშარ ადგილას. დანარჩენები მიაგორებდნენ ქვემეხებს, რომ ახალი პოზიცია დაეკავებინათ.

მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან, საკუთარი ჟურვების აფეთქებისაგან ბევრი მებრძოლი დაჭრილი აღმოჩნდა. ქვემეხების გაანგარიშებანი შეთხელდა. თვითონ დივოჩკინი რიგრიგობით ისროდა ორივე ქვემეხს. პირდაპირი დამიზნებით ბატარია სპობდა შეტევაზე გადმოსულ მტერს. ბატარიამ შესძლო ქვეითი ჯარის ერთნახევარი ოცეულის, მტრის ქვემეხისა და ტყვიამფრქვევის რამდენიმე წერტილის მოსპობა. მოწინააღმდეგე თავდაცვაზე გადავიდა.

დივოჩკინის ბატარიაში მწყობრიდან გამოვიდა ერთი ქვემეხი. ცეცხლი გაუჩნდა ჟურვების საწყობს. დივოჩკინმა თავის თავზე აიღო ბატარიის მეთაურობა, მოაწყო ქრობა ჟურვებიანი ყუთებისა, რომლებმაც უკვე იწყეს აფეთქება. წინ მტრის ცეცხლია, ზურგში ცეცხლია, — მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ ბატარიაში არ ყოფილა არავითარი დაბნეულობა, არავითარი პანიკა. მებრძოლებიდან ზოგიერთებს სწრაფად გადაჰქონდათ ჟურვები უშიშარ ადგილას. დანარჩენები მიაგორებდნენ ქვემეხებს, რომ ახალი პოზიცია დაეკავებინათ.

მოწინააღმდეგის ცეცხლისაგან, საკუთარი ჟურვების აფეთქებისაგან ბევრი მებრძოლი დაჭრილი აღმოჩნდა. ქვემეხების გაანგარიშებანი შეთხელდა. თვითონ დივოჩკინი რიგრიგობით ისროდა ორივე ქვემეხს. პირდაპირი დამიზნებით ბატარია სპობდა შეტევაზე გადმოსულ მტერს. ბატარიამ შესძლო ქვეითი ჯარის ერთნახევარი ოცეულის, მტრის ქვემეხისა და ტყვიამფრქვევის რამდენიმე წერტილის მოსპობა. მოწინააღმდეგე თავდაცვაზე გადავიდა.

გრიგალისებური საარტილერიო ცეცხლის ქვეშ და ჰაერიდან ყუმბარების დაშენის პირობებში ლეიტენანტი რიჟიკოვი უზრუნველჰყოფდა შეუფერხებელ კავშირგაბმულობას სანაპირო რაზმების კომენდატურის უბანზე. ერთი წითელარმიელის თანხლებით რიჟიკოვი პირადად ასწორებდა დაზიანებულ ხაზს. იგი უეცრად წააწყდა გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფს და უშიშრად შეება მათ. რიჟიკოვმა ნაწილი ფაშისტებისა მოსპო ხელყუმბარით, დანარჩენებს ხელით ეკვეთა, ერთერთ ჯარისკაცს ხელიდან გააგდებინა შაშხანა, შეიარაღდა მით და გერმანული ხიშტით მოჰკლა სამი გერმანელი. დანარჩენები გაიქცნენ. ამის შემდეგ რიჟიკოვმა დაამთავრა ხაზის გასწორება და უზრუნველჰყო სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირული შრომით დავეხმაროთ წითელ არმიას

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, სანიმუშოდ ჩავაბაროთ საშემოდგომო თესვა

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მთელი საბჭოთა კავშირის გლეხობასთან ერთად თავდადებულად შრომობს წლევანდელი უხვი მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა წარმატებით ახორციელებს ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მითითებას წითელი არმიისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელში უმაგალითო საწარმოო აღმავლობას აქვს ადგილი. ყველანი—დიდი და პატარა ბეჯითად მუშაობენ, იძლევიან შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო გადიდების მაგალითებს. ჩვენი დიადი ქვეყნის პატრიოტებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ყოველი დამატებითი პური, დაზოგილი თვითეული კილოგრამი საწვავი მასალა—ლახვარია გამხეცებული მტრისათვის.

მიმდინარე წელს საქართველოს კოლმეურნე გლეხობა პურეულის უხვ მოსავალს იღებს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 16-დან 20 ცენტნერამდე პური, ხოლო ზოგიერთმა კოლმეურნეობამ და ბრიგადამ გაცილებით მეტი.

მიმდინარე წლის თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება ძირითადად უკვე დამთავრდა. მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში აიღეს თელავის, სიღნაღის, წითელწყაროს და სხვა რაიონებმა. აღებულ პურს კოლმეურნეები დაუყოვნებლივ ლეწავენ. ხაშურის რაიონის სოფ. ნაცარგორის და ხაკისის კოლმეურნეობებში კოლმეურნე ქალებმა პურის ლეწვა დღეღამის განმავლობაში მოაწყეს. კოლმეურნე ქალები, რომლებმაც ფრონტზე წასული მამაკაცები შესცვალეს, გამომუშავების ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

საქართველოს კოლმეურნეობებს ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი ვალდებულება ჩვენი დიადი ქვეყნის, გმირული წითელი არმიის წინაშე. კოლმეურნეობები კომბაინებიდან და სალეწი მანქანებიდანვე აბარებენ სახელმწიფოს საუკეთესო ხარისხის პურს. თბილისის რაიონის სოფ. მარტყოფის, ნორიოს, კუმისის, თელეთისა და ახალსოფლის კოლმეურნეობებმა წითელი ქარავნები მოაწყეს და ერთ დღეში სახელმწიფოს 120 ტონა ხორბალი და 40 ტონა კარტოფილი ჩააბარეს. მრავალმა კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე მოიხადა სახელმწიფო ვალდებულება პურის ჩაბარების მხრივ. ამავე დროს კოლმეურნეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ თავდაცვის სახალხო ფონდში.

კოლმეურნეები გამსჭვალული არიან მხურვალე პატრიოტული გრძნობებით. „კომუნისტის“ 31 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ასპინძის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების წერილი გეგმის გადამეტებით თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტარების დათესვის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ ასპინძელთა ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურებიან და მხარს დაუჭერენ ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეები. აღგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სამეწარმოქმედო ორგანოების ვალია სათავეში ჩაუდგნენ მასების გაწლილ ინიციატივას და ყოველმხრივ დაეხმარონ მათ საშემოდგომო თესვის გეგმების გადამეტებით და მაღალხარისხოვნად შესრულებაში.

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა დიდ სამამულო ომს აწარმოებს გერმანელი ფაშისტი ყაჩაღების წინააღმდეგ, ჩვენი ვალია თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ საკოლმეურნეო საკუთრებას და ამავე დროს უდიდესი მზრუნველობით, ისე როგორც პრასოდეს, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალ უხვ მოსავალს.

ზოგან თესვა უკვე დაიწყო. კიდევ რამდენიმე დღე და საქართველოში თესვა მასობრივად გაჩაღდება. თესვა უნდა ჩავატაროთ ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად და მაღალხარისხოვნად. ნუ დავივიწყებთ, რომ საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების ხვედრითი წონა მეტად დიდია. ანეულის კარგად დამუშავებას, საშემოდგომო ხვნის მაღალხარისხოვნად ჩატარებას, თესლის დროულად გაშმენდას და ინვენტარის სრულ წესრიგში მოყვანას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. ახალციხის, ბაშკიჩეთის, წიფელწყაროს, თეთრიწყაროს, მცხეთის, ასპინძის, დუშეთისა და სხვა რაიონებმა გადამეტებით შესრულეს ანეულის ხვნის გეგმები.

მთელი რიგი კოლმეურნეობები საუკეთესოდ მოემზადნენ საშემოდგომო თესვისათვის. მაგალითად, ყასპის რაიონის სოფ. ქვემოჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა იარაღმანქანების რემონტი, აღმოცენების უნარიანობაზე თესლის ლაბორატორიული შემოწმება. ასევე კარგად მოემზადა ხაშურის რაიონის სოფ. ხკისის კოლმეურნეობა. მსგავსი ფაქტები ბევრია. აღგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სამეწარმოქმედო ორგანოების ამოცანაა უზრუნველჰყონ ყველა კოლმეურნეობის საუკეთესოდ მომზადება საშემოდგომო თესვისათვის.

ხვნა-თესვაზე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ხარ-კამეჩი, კოლმეურნეობის მთელი ინვენტარი და უზრუნველვყოთ მექანიკურ ძალასთან ცოცხალი გამწევი ძალის ოსტატურად შეხამება. მხოლოდ ამ პირობებში იქნება შესაძლებელი საშემოდგომო თესვის შემჭიდროებულ ვადებში და ხარისხოვნად ჩატარება. საშემოდგომო თესვის გეგმა არა თუ მთლიანად უნდა შესრულდეს ყოველ კოლმეურნეობაში, ბრიგადასა და რაიონში, არამედ გადამეტებითაც, — ასეთია ამოცანა.

მრავალი კოლმეურნე ქალი მტს-ებთან მოწყობილ კურსებზე წარმატებით ეუფლება სატრაქტორო საქმეს. საშემოდგომო ხვნა-თესვისას ტრაქტორის საქმე მიუსხდებიან ახლად კურსდამთავრებული კოლმეურნე ქალები. მტს-ების ხელმძღვანელთა ვალია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ახალგაზრდა პატრიოტებს მათთვის დაკისრებული საპატიო მოვალეობის წარმატებით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის თვითეული მუშაკის ამოცანაა ნაკლები მუშა-ხელით უზრუნველჰყოს მინდვრის სამუშაოთა წარმატებით შესრულება, სოფლის მეურნეობის სტახანოველთა მდიდარი გამოცდილების ფართოდ დანერგვა.

სანიმუშოდ, უდანაკარგოდ აღებული ყველა კულტურის მოსავალი, პირნათლად შევასრულოთ ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე და მტკიცე საძირკველი ჩავუყაროთ მომავალი წლის მაღალ მოსავალს. კოლმეურნეობათა მუშაობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა, ზურგში ფხიზელი და თავდადებული მუშაობა, სოციალისტურ მინდვრებზე ნამდვილი მეომრისებური მუშაობა,—აი რა უზრუნველჰყოფს მაღალი მოსავლის მიღებას.

ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი კაციჭამია ფაშისტების გასანადგურებლად!

მაღალი, სტალინური მოსავლისათვის ბრძოლა საკოლმეურნეო სოფლის ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა.

მოსავალს წარმატებით იღებენ

დუშეთი (საქდესი). იმის მიუხედავად, რომ კოლმეურნეთა ნაწილი წითელ არმიაშია გაწვეული, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლის აღება, გასულ წლებთან შედარებით, უფრო მაღალი ტემპით მიმდინარეობს. წითელ არმიაში წასული მამაკაცები ქალებმა შესცვალეს. სოფ. გრიგოლაანთკარის შინახკომის სახელობის კოლმეურნეობამ წელს 12 ღღით ადრე დაამთავრა მოსავლის აღება.

ვადაზე რამდენიმე ღღით ადრე აიღეს მოსავალი ს. თანიანკარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ განსაკუთრებით კარგად მუშაობდნენ ქალები — რაიონული საბჭოს დეპუტატი, რგოლის ხელმძღვანელი ქეთო მართაშვილი, ნინა დიდებაშვილი, ელენე ავლახაშვილი, ეფროსინე დიდებაშვილი და სხვები. ისინი გადაჭარბებით ასრულებდნენ მკის და ძნის შეკვრის გეგმებს.

წელს კოლმეურნეობები გაცილებით უფრო მაღალ მოსავალს იღებენ, ვიდრე გასულ წელს. მაგალითად სოფ. ქვემოაბაში შარშან ჰექტარზე 5 ცენტნერი ქერი აიღეს, წელს კი—19 ცენტნერი, ს. თანიანკარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 6 ცენტნერი ქერის ნაცვლად 15 ცენტნერი აიღეს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარება წარმატებით მიმდინარეობს

ყაზბეგი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ყაზბეგის რაიონში ვადამდე ადრე და გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა. გეგმები შეასრულა ყველა კოლმეურნეობამ. კარკუჩის, ყაზბეგის, ახალციხის, კობის, სნოს, ყანობის და სიონის კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით ჩააბარეს სახელმწიფოს 2 ტონა ხორცი.

რაიონში დიდი წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე მატყლის, ყველის, რძისა და ტყავის ჩაბარების გეგმების შესრულება. კობის, ყაზბეგის და სხვა მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე. კოლმეურნეობებს აღებული აქვთ ვალდებულება რძის, ყველის, ტყავის და სხვა პროდუქტების წლიური გეგმების შესრულება უზრუნველჰყონ 10 სექტემბრისათვის.

თავდადებული მუშაობის შედეგად

ქარელი (საქდესი). თავდადებით მუშაობს აგარის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაკთა კოლექტივი სამამულო ომის დღეებში. კომბაინერები და ტრაქტორისტები თავიანთ მანქანებზე მუშაობენ იმდენს, რამდენიც საჭიროა. ამის შედეგად მტს-ის მუშაკთა ნაწილის ჯარში წასვლის მიუხედავად, მათ დიდი გადაჭარბებით შესრულეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა.

გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად ტრაქტორისტები და კომბაინერები საწვავის დიდ ეკონომიას ეწევიან. ტრაქტორისტმა ელიაშვილმა აგვისტოში 60 კილოგრამი საწვავი დაზოგა, ელუაშვილმა—45 კგ. და სხვ.

ექვს თვეში მტს-მა 17 ტონა საწვავი დაზოგა.

დაიწყო შამპანური ჯიშის ყურძნის დამზადება

ხარაგოული (საქდესი). დაიწყო შამპანური ჯიშის ყურძნის დამზადება. ხარაგოულის ღვინის ქარხანას პინოს ჯიშის ყურძნის პირველი მოსავალი სოფელ თეთრწყაროს კოლმეურნეობამ ჩააბარა.

ამავე ჯიშის ყურძენი ღვინის ქარხნებს ჩააბარეს აგრეთვე სოფელ ლაშის, ღვერკისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ღვინის ქარხნები მომზადებული შეხვდნენ ყურძნის მიღებას, რომლის გადამუშავება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

საქართველოს ხიხის ბაღებში

საქართველოს კოლმეურნეობათა ხილის ბაღებში გაცხოველებული მუშაობაა. გაჩაღებულია კურკოვანთა, უმთავრესად ატმის კრეფა. მატულობს თესლოვანთა—ვაშლისა და მსხლის კრეფის ტემპი. მალე დაიწყება გორის ვაშლის მასობრივი კრეფა, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა, ვინაიდან ეს ვაშლი მაღალი ხარისხისაა—საუცხოო გემო და სუნი აქვს, ამასთან დიდხანსაც ინახება.

წელს საქართველოში უნდა დამზადდეს დაახლოებით 12 ათასი ტონა ახალი ხილი და 500-მდე ტონა ჩირი. საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პირველ რიგში ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული თესლოვანი ხილის დამზადების გეგმა. ჩაბარებულია 2.074 ტონა ატამი, ქლიავი, ჭერამი და სხვა.

წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ვაშლისა და მსხლის კრეფა. ზაფხულისა და შემოდგომის ჯიშის ვაშლი უკვე ჩაბარებულია 2.371 ტონა. (საქდესი).

4.600 პროცენტით

გაღის რაიონის სოფ. თაგილონის ყადნოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ნადია აბლოთიამ ერთ დღეს ნორმით გათვალისწინებული 10 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის ნაცვლად მოჰკრიფა 460 კილოგრამი ფოთოლი და დღიური ნორმა 4.600 პროცენტით შეასრულა. ამ დღეს მან გამოიმუშავა 46 შრომადღე. ამხ. აბლოთიამ შრომადღეებზე კუთვნილი ფული მთლიანად შეიტანა თავდაცვის სახალხო ფონდში.

შ. ჯოლოგუა

ყურძნის მაღალი მოსავალი

გორი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობები, რომლებიც მევენახეობას მისდევენ, წელს ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან. სოფელ ზიდისთავის, ოხერას, დეგეულას, ახალდაბის, არაშენდას და პატარა ატენის კოლმეურნეობებში თვითეული ძირი ვაზი მტევნებით არის დახუნძლული.

ამ კოლმეურნეობებში ჰექტარზე საშუალოდ მოელიან 65-75 ცენტნერ ყურძენს. კოლმეურნეები ყურძნის უხვი მოსავლის ასაღებად ამზადებენ მარნებს, საწნახლებს, ქვევრებს, კალათებს.

უხვი მოსავალი

ბაშკიჩეთი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). წელს მთელ რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურების განსაკუთრებით კარგი მოსავალი იყო. სოფ. ბაშკიჩეთის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან ჰექტარიდან საშუალოდ 8 ცენტნერი მოსავალი აიღო, მაგრამ წელს ეს რიცხვი 13-14 ცენტნერამდე, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე 25 ცენტნერამდე ავიდა. ეს კოლმეურნეობა წელს შრომადღეზე 4 კილოგრამ ხორბალს გაანაწილებს.

უხვი მოსავალი აიღეს აგრეთვე სოფ. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის, დმანისის „ახალი წყაროს“, გომარეთის, პატარა გომარეთის, ყარაბულაღის მოლოტოვის სახელობის და ვალგემის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს აღებული მოსავლის გალეწვა. მტს-ის სალეწი მანქანები მთელი დატვირთვით მუშაობენ. უკვე გალეწილია მთელი მოსავლის 70 პროცენტი. სალეწ მანქანაზე მუშაობით თავი ისახელა ადოლფ ვოლდემარმა. მან მთლიანად გალეწა სოფ. ვალგემის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მოსავალი (190 ტონა) და ახლა სოფ. დაგარახლოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მოსავალს ლეწავს. უხვი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებით ბაშკიჩეთის რაიონის კოლმეურნეები ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი საქმის კიდევ უფრო განმტკიცებას.

დაუცხრომლად მუშაობენ

ხაშური (საქდესი). ხაშურის საწარმოთა მუშები და სპეციალისტები თავდადებით მუშაობენ სამშობლოს თავდაცვის განსამტკიცებლად. ხე-ტყის სახერხი ქარხანა დავალებას ყოველდღე 150 პროცენტით ასრულებს. ხაშურის სადგურის მეისრეები თვითონ ასრულებენ ისრის რემონტს. ხაშურის სავაგონო დეპოს ზეინკალი შარიქაძე, ხურობები—ელიაშვილი და ამბოკაძე ღღეში 5-7 ნორმას აკეთებენ.

— მშვიდობიანი დროის ნორმები აღარ გვაკმაყოფილებსო,—ამბობს ხაშურის დეპოს ვაგონის მოუხსნელად შეკეთების ცვლის ოსტატი ამხ. . ბოჭორიძე,—ახლა ისე ვმუშაობთ, როგორც ომიანობის დროს შეეფერება. ბოჭორიძის ცვლამ 15 ღღეში შეასრულა აგვისტოს გეგმა.

მეორთქლმავლეთა რეკორდები

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი გმირულ შრომაში სჯიდს ვერაგ და გამორჩეულებულ მტერზე გამარჯვებას. ცნობილმა სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. პ. ადამეცკიმ 21 აგვისტოს ორთქლმავლის რვილების საკისართა დამზადების გეგმა 1.227,7 პროცენტით შეასრულა. მან 98 საათის სამუშაო 8 საათში გაკეთა. ამხ. ადამეცკი ყოველდღიურ დავალებას 400-500 პროცენტით ასრულებს.

დამამზადებელი საამქროს ზეინკალმა ამხ. ხ. ბზარაშვილმაც 98 საათის სამუშაო 8 საათში გაკეთა და დავალება 1.226,2 პროცენტით შეასრულა. მრავალდაზგოსანმა ხარატმა ამხ. გრ. ჯანველოვმა დავალება თერმომეტჯერ მოკლე დროში შეასრულა, ორთქლმავლის ნაწილების გაჩარხვას, რასაც 88 საათი სჭირდებოდა, 8 საათი მოანდომა. ამხ. ჯანველოვმა დღიური გეგმა 1100 პროცენტით შეასრულა.

დეპოს კოლექტივში ბევრი ორასოვანია. აქ დიდი უმრავლესობა დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებს.

იზრდება შრომის ნაყოფიერება

ჭიათურა („კომუნისტის“ კორ.). საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა შესანიშნავი წარმატებით მუშაობს.

ლენინის სახელობის მაღარომ ივლისში მაღნის ხარისხის გაუმჯობესებით რამდენიმე ათასი მანეთის მოგება მიიღო. აგვისტოში შრომის ნაყოფიერება ერთიორად ამაღლდა. ამ მაღაროში შტრეკების ჩქარი გაყვანისათვის გამოყენებულია დნეპროპეტროვსკელი ინჟინრის ბრასლავსკის მიერ გამოგონილი მანქანა „სამთო კომბაინი“. ახალი მანქანა, რომელმაც 3-ჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, სწრაფად იქნა ათვისებული. ახალ მანქანაზე სტახანოვურად მუშაობს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ ა. გაფრინდაშვილი.

მაღაროში მიეჩვიენ მასალების მომჭირნეობით ხარჯვას. ძველი ბიგების გამოზიდვა მაღაროდან გრძელი ჯალამბრის გამოყენებით სწარმოებს. მარტო 3 კვირის განმავლობაში ძველი ბიგების გამოყენებით მიღწეულია რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომია.

ლენინის სახელობის მაღაროში ერთიორად გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი. შესანიშნავი წარმატებით მუშაობენ სტახანოველები ამხ. ვ. სადუნაშვილი, მ. წიგნაძე, გ. სამხარაძე, ვ. ცარციძე და სხვები.

ლ. ლოლაძე

ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულებულია

ტყიბული („კომუნისტის“ კორ.). სამამულო ომის დღეებში ტყიბულის მაღაროელები გმირულად იბრძვიან ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის, გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. 30 აგვისტოს, მეორე ცვლაში, ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროების მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმა.

გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში სტალინის მაღაროში თავი ისახელეს ტექნიკოს პაპუშ ნანიკაშვილის უბანმა და ოგბოლაძის, ტრუფანოვის, ბეშკენაძის, კეხიძისა და ქათამაძის ბრიგადებმა. ისინი ყოველდღიურად გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

გახსაკუთრებით აღსანიშნავია ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მნგრეველებისა და ამწეხნდების ქაფფურაშვილის, კასრაძის, გიორგაძის, ქასაკაკის, მელენტევისა და სხვ. მუშაობა. ისინი ხშირად 3 და კიდევ მეტ ნორმას ასრულებენ.

გეგმის შესრულება

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). დიდი სამამულო ომის დღეებში ბათუმის რაიონის კოლმეურნეები თამბაქოს უხვ მოსავალს იღებენ. რაიონის კოლმეურნეობებმა გადამეტებით შეასრულეს თამბაქოს შეტეხისა და ანემსვის გეგმის შესრულებაში წინ მიდიან ბორჩალოს ქოს შეტეხისა და აცმის წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700.000 ზონარმეტრი თამბაქოსი, შეტეხილი და აცმულია 720.041 ზონარმეტრი.

* * *

ბეგეჯკორი (ტელეგრაფით). დიდიჭყონოს საბჭოთა მეურნეობამ 23 აგვისტოსათვის გადამეტებით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 4 თვის გეგმა. ჩაის კრეფა დამკვრელური ტემპებით გრძელდება.

ქალები ეუფლებიან ახალ პროფესიებს

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). ბათუმის ვოროშილოვის სახელობის მომთუთიებელი ქარხანა წარმატებით მუშაობს. ქარხნის კოლექტივმა 28 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა თვიური დავალება.

საუტამპო საამქროს მუშა-ქალები ამხ. ბეალავა, კაზანცევა და ჯღარკავა დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებას.

მომთუთიებელი საამქროს ქალებმა ამხ. მ. გუდავენკომ და ს. სერმეგამ წარმატებით შეისწავლეს მოთუთიების საქმე და ფრონტზე წასული ბრიგადირები შესცვალეს. ქალთა ბრიგადები ამხ. გუდავენკოს და სერმეგას ხელმძღვანელობით დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებენ

ფრონტზე ქმრების გამგზავრების შემდეგ ქარხანაში სამუშაოდ მოვიდნენ დაბალსახლიები ამხ. მ. ილუხინა და ა. კაზარიანი. ისინი გეგმას 120-130 პროცენტით ასრულებენ.

ქ. დოგორჯგინიძე

ერთი კოლმეურნეობის მოწინავენი

სკრა (საქდესი). გორის რაიონის სოფ. სკრის საკოლმეურნეო მინდვრებზე გახურებული მუშაობაა. კოლმეურნენი ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპს. მოწინავეა პირველი ბრიგადა, რომელსაც სტახანოველი გ. მამულაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ 51 ჰექტარი ქერისა და პურის მოსავალი 3 ღღით აღრე აიღო და დააბინავა. უდიდესი გულმოდგინებით მუშაობენ კოლმეურნეები—ი. ოქროშიაშვილი, ს. მაზიაშვილი, დ ოქროშიაშვილი, კობახიძე და სხვები. თვითეული მათგანი მოსავლის აღების ყოველდღიურ ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებდა.

ახალგაზრდა კოლმეურნე ი. მეგრელიშვილმა ამ დღეს, როცა გმირულ წითელ არმიაში გაწვევის უწყება მიიღო, მოსავლის აღების დღიური ნორმა 260 პროცენტით შეასრულა. წითელ არმიაში წასვლის წინ მან სიტყვა მისცა თავის ამხანაგებს, რომ ფრონტზე დირსეულად დაიცავს კომკავშირელის სახელს და მამაცურად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს სამშობლოსათვის.

საუკეთესოდ ეხმარება კოლმეურნეობას მოსწავლეთა ჯგუფი, რომელსაც ამხ. ბედოშვილი ხელმძღვანელობს.

ამჟამად სკრაში გაცხოველებით მიმდინარეობს შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის ნათესების მოვლა-დამუშავება. კოლმეურნეები სტახანოვურად მუშაობენ და იბრძვიან შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მისაღებად.

უდანაკარგოდ და სწრაფად იღებენ თამბაქოს მოსავალს

ბორჩალო („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ბორჩალოს რაიონში მასობრივად მიმდინარეობს თამბაქოს შეტეხა და ანემსვა. რაიონმა წელს უნდა აიღოს 18.000.000 ზონარმეტრი თამბაქო. 26 აგვისტოსათვის ფაქტიურად აღებული ჰქონდა 10,969.362 ზონარმეტრი

თამბაქოს შეტეხისა და ანემსვის გეგმის შესრულებაში წინ მიდიან ბორჩალოს სტალინის სახელობის, სოფელ თაფანახჩის, სოფ. ქესალოს, სოფ. პირველი ქესალო-ენიოლის და რაიონის სხვა კოლმეურნეობები. კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები თავდადებული შრომის ნიმუშებს იძლევიან, უდანაკარგოდ და სწრაფად იღებენ თამბაქოს უხვ მოსავალს.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს ზეინკალი გიორგი იაშვილი დავალებას სისტემატურად 400-500 პროცენტით ასრულებს. **ხურათზე:** ამხ. გ. იაშვილი საპაერო ტუმბოსთან.

ფოტო რ. აკოფოვისა.

კონსტანტინე გამსახურდია

ფაშისტი კანიბალები

ჩვენ არ ვგულისხმობთ შექსპირისეულ კანიბალს, ლეგენდარულ მხეცკაცს, რომელიც ცოდდებოდა როცა თავის ხატებას ნახავდა ხოლმე ეკლესიაში.

თანამედროვე ფაშისტი კანიბალი უფრო საზარელია და სისხლის მსმელი, ვიდრე იგი, რომელიც ბნელი საუკუნეების ხალხურ ფანტაზიაზე წარმოუსახავს. არც ისე ახალგაზრდაა თანამედროვე კანიბალი გერმანელი ფაშიზმის მიერ წარმოშობილი, არც ისე ჭაბუკი, როგორც ეს მათ ეჩვენებათ. თანამედროვე კანიბალიზმს ძუძუს აწოვებდა საშუალო საუკუნის ბნელეთი, შავი მაგიის წიგნები (ინკუბების გრდემლი), კოდექსები „მალეუს მალეფიკიარუმ“, რომელთა წყალობითაც საშუალო საუკუნეში მეტი სისხლი დაიღვარა, ვიდრე ეს ჩაუდენიათ ჩინგისხანს, თემურს, კალიგულას და ალბას.

სატანიზმი, სადიზმი და ანტისემიტიზმი თესებოდა კათოლიკური პაპების ბულებისაგან საშუალო საუკუნეში, ევროპის საუკეთესო შვილები ეშფოტებზე აკუჟდათ, კოცონებზე სწვავდნენ უდანაშაულო ქალებსა და მოხუცებს, რომელთაც პაპის გრეგორ IX ბრძანებით შესწამებდენ ხოლმე „გომბეშოს ოდენა ეშმაკებთან სქესობრივ კავშირს“. მრავალთას ებრაელს სწვავდნენ კოცონზე ფრანკფურტში, მაინცსა და კელნში.

პაპის ინკვიზიტორის კიბოს ბრძანებით მხოლოდ ერთ დღეს დასწვეს მრავალი ათასი ებრაელი, რომელთაც ბრალდებოდათ უნათლავი ქრისტიანი ბავშვის სისხლის დალევა „ჭინკების კრუბზე“. ამ საშინელებას სჩადიოდნენ რომის პაპების ინოკენტ VIII, იულიუს III და ადრიან VI ბრძანებით.

ეს ვაკხანალია ვრცელდებოდა ცენტრალურ ევროპაში ახალი საუკუნეების ზღურბლამდის. ჯერ კიდევ 1701 წელს მიუნხენში საჯაროდ დასწვეს ჩვიდმეტი წლის გოგონა, რომელსაც დომინიკანელმა ბერებმა „ეშმაკებთან თანაზიარობა“ შესწამეს.

ასე გეგონა შეოცე საუკუნეში ამას ყველაფერს შეეხედავდით, როგორც სამარცხვინო და სამწუხარო რეციდივებს კაცობრიობის წარსულისა, მაგრამ კანიბალიზმი ლეგენდარულ ურჩხულსავით აღსდგა ჩვენ თვალწინ და ერთი მოკრილი თავის ნაცვლად მრავალი ათასი გამოისხა.

უნდა ითქვას, დომინიკანელი ინკვიზიტორები ნაციონალურ მომენტს იმდენ ყურადღებას არ აქცევდნენ „ჭინკების პროცესების“ დროს, როგორც ამას სჩადიან თანამედროვე ფაშისტები. თავიანთი რასიული თეორიის პრაქტიკაზე გადატანისას.

მეოცე საუკუნის ზღურბლზე, როდესაც ჰაბსბურგების, ჰოჰენცოლერების და რომანოვების მონარქიების ნანგრევებზე ახალი პოლიტიკური ერთეულები და ერთნული სახელმწიფოები წარმოიშენენ, მცირერიცხოვან ერებს ევროპისას უკეთესი დარი უნდა დასდგომოდა. მაგრამ ისტორიის ნემეზიდამ „ისურვა“ ასე, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ჰერდერი კაცობრიობის მოდგმათა ერთგვაროვანობასა და ნათესაობას ამტკიცებდა, სადაც გოეტე თავის დიდაკტურ კოსმოპოლიტიზმს ქადაგებდა, სწორედ ამ ქვეყანაში აღორძინდა ეს თანამედროვე კანიბალიზმი.

ჭკუანაღრძობი ფაშისტი იდეოლოგების „რასიული თეორია“ მითვისებული აქვთ მათ ფრანგ ისტორიკოსის გობინოს შრომისაგან: „კაცობრიობის რასების უთანასწორობისათვის“. არანაკლები როლი ითამაშა ამ საქმეში ინგლისელობის რენეგატმა ჰუსტონ-სტეუარტ ჩემბერლენმა. მთელი კაცობრიობა მან დაპყო არიელებად და არაარიელებად. ამ ცრუ ისტორიკოსმა გერმანებს—არიელებს მიაკუთვნა ყველა გამოგონებანი და მიღწევანი, როგორც მეცნიერებისა, ისე ხელოვნებისა, ხოლო არა არიელი ჩინელები, სლავიანელები, სემიტები: არაბები, ებრაელები და სხვანი უნიჭო ეპიგონებათ გამოაცხადა.

სკრიპტომანიით შეპყრობილმა ჩემბერლენმა თვალი გადაავლო კაცობრიობის მიღწევათა ისტორიას მრავალი ათასი წლის მანძილისას და ძველ საუკუნეებში მის მიერ არიელებად გამოცხადებულ ბერძნებსა და რომაელებს მიაწერა ყოველივე სიკეთე, ხოლო ახალ საუკუნეებში გერმანებს. ბიბლია, უშესანიშნავესი ძეგლი ებრაული ეპოსისა პლაგიატად გამოაცხადა. წარმოიდგინეთ ჩემბერლენის „უტიფრობა“, რომ მან არა არიელ მიჯნას გადაღმა დასტოვა თვით მუსოლინის სახლის კაკუბი, იტალიელები და როცა მას ჰკითხეს ამბრას იტყვითო ჯიოტოს, რაფაელის, დანტეს, პეტრარკას, და-ვინჩის გამო? მან შესაფერი პასუხიც ითლად იპოვნა:

ესენი არიანო იმ გერმანელი ბარონების შორეული შვილიშვილები, როდესაც ოდესღაც ღმამბარდია აიღესო.

არაარიელად უნდა შეერაცხნა ქრისტე. აქ კი შერცხვა ქრისტიან ჩემბერლენს და „მეცნიერულად“ დაამტკიცა ქრისტე ვიღაც რომაელი ჯარისკაცის ბუში იყოვო.

იტალელი არისტოკრატია ჩემბერლენმა წმინდა სისხლიან არიელების წიაღს მიაკუთვნა, ხოლო იტალელ ხალხს უწოდა ეთნიური დიმხალი. უნიჭოთ და ეპიგონურ რასად დასახა „ყვითელი იაპონელები“. არც ჩემბერლენს და არც მის ეპიგონებს—ჰიტლერსა და ჰეგელს, აზრადაც არ მოსვლიათ ბოდიში მოეხადათ არაარიელ ბარუხ სპინოზას, შოპენისა და კოპერნიკის წინაშე. მხოლოდ უკანასკნელ წლებში მცირე კორექტივი შეიტანეს ღერძის თანაწვრის იაპონის მიმართ და პასიური კულტურტრეგერობა მიაწერეს იაპონელებს.

მხოლოდ უმეფიარ და გონებანაღრძობ ადამიანებს მოუვა თავში ერთ ერს ან ეროვნებათა განსაზღვრულ კომპლექსს მიაწეროს ის მიღწევანი, რომელნიც კაცობრიობას მოუხვეჭია თავის მრავალსაუკუნიანი ისტორიისა და ბრძოლის მანძილზე.

თავიანთი სისხლიანი ავანტიურის გასამართლებლად ფაშისტებს სწადიათ გერმანის ხალხს მიაწერონ ისეთი დამსახურებანი, რომელთაც არცერთი ჭკუადამჯდარი გერმანელი ისტორიკოსიც არ მიაწერდა მას.

ძველი ბერძნებიც იბრძოდნენ მსოფლიო ჰეგემონიისათვის, აღწევდენ კიდევაც ყამიდან ყამზე მას, მაგრამ არამარტო ხმლის მეოხებით, არამედ კულტურითაც. თავის დროზე ბერძნები მართლაც იდგენ მსოფლიო კულტურის ზენიტზე. მათი თანამედროვე ევროპა და აზია დასახლებული იყო ნახევრად ბ

რუზველტის გამოსვლა რადიოთი

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი (საკდესი). „შრომის დღის“ დღესასწაულობასთან დაკავშირებთან, ჰაიდ-პარკში (პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენცია) რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა რუზველტმა. მან განაცხადა, რომ ამჟამად ამერიკის მშრომელებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ ამ ყველაზე სასტიკ და ყველაზე საშინელ ომში გამარჯვების უზრუნველყოფისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების ქარხნებში, საამქროებსა და არსენალებში გაჩაღებულია იარაღის წარმოება უდიდესი მასშტაბით.

ეს უდიდესი მეცადინეობა და მიზნის ერთიანობა, რაც ამ მეცადინეობას აღაფრთოვანებს, განაგრძო რუზველტმა, მხოლოდდამხოლოდ იმ ფაქტის შეგნებით აიხსნება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ძირითად უფლებებს, მათ შორის მშრომელთა უფლებებსაც საფრთხე მოელის იმასთან დაკავშირებით, რომ ჰიტლერს უდიდესი სურვილი აქვს მსოფლიო ბატონობა მოიპოვოს. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში არასოდეს არა ყოფილა ისეთი მომენტი, რომ ამერიკელები მზად არ ყოფილიყვნენ იმისათვის, რომ თავი დაეცვათ, როგორც თავისუფალ ადამიანებს, და თავიანთი უფლებებისათვის ეომნათ. მტრებმა იციან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოეპოვებათ მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც უფროდაუფრო ძლიერდება, რომ ამ ფლოტს, სანამ არსებობენ ბრიტანეთის იმპერიის, ჰოლანდიის, ნორვეგიისა და რუსეთის საზღვაო ფლოტები, შეუძლია მათთან ერთად უზრუნველჰყოს ზღვების თავისუფლება. თუ ამ ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ფლოტები მოსპობილ იქნენ, ამერიკის სამხედრო - საზღვაო ფლოტი ამჟამად ან მომავალში ვეღარ შესძლებს უზრუნველჰყოს ზღვების თავისუფლება მთელი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. მტრებმა იციან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმია დღითი-დღე ყოველმხრივ იზრდება და რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ამერიკის მრეწველობის წარმოება კოლოსალურად გაიზარდა, რომ ამ მრეწველობის პროდუქცია დღითი-დღე სულ უფროდაუფრო მეტი მოცულობით იგზავნება ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ასპარეზზე. მაგრამ, განაცხადა რუზველტმა, ეს ღონისძიება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, და თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ გააიდიდეს მთელი პროდუქციის გამოშვება და კიდევ უფრო მეტად არ დაიცვეს ეს პროდუქცია, სანამ იგი ბრძოლის ველს მიაღწევდეს, მტრები ადვილად განაგრძობენ შეტევას ძველს ფრონტებზე და ახალ ფრონტებზედაც მიიტანენ იერიშს.

მე, — სთქვა რუზველტმა, — სერიოზულად ვაფრთხილებ იმ პირთ, ვინც ფიქრობს ჰიტლერის შემოტევა შეჩერებულიაო, რომ ისინი მეტად საშიშ ვარაუდებს სახავენ. როდესაც რომელიმე ომში გვგონია, რომ ჩვენს მტერს ნაკლები წარმატება აქვს, ვიდრე ერთი წლის წინათ ჰქონდა, ეს ყველაზე უფრო შესაფერისი მომენტია იმისათვის, რომ გაორკეცებული ძალით დავაკრათ, კიდევ უფრო მეტი ღონე ვიხმაროთ, რათა დავამარცხოთ იგი სამუდამოდ და ბოლო მოვუღოთ მსოფლიო ბატონობის საფრთხეს, ხოლო ამით ბოლო მოვუღოთ ლაპარაკს ან აზრს რაიმე ისეთი ზავის შესახებ, რომელიც ეყრდნობა კომპრომისს თვითონ ბოროტებასთან. „ჩვენ წინ გვიდევს მძიმე ამოცანა, რომელიც მრავალ საშიროებას გვიქადის. ჰიტლერმა ძალადობის გიჟური ძალები აამოქმედა ჩვენს პლანეტაზე. ჩვენ სრული მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ ძალების ალაგმვაში, ვინაიდან ეს ძალები შეიძლება მომართონ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, თუ ჩვენ მხოლოდ ჩვენი საქმეებისათვის ვიზრუნებთ და ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას დავჯერდებით. ჰიტლერის განადგურების ამოცანა, შესაძლოა, ხანგრძლივი და ძნელი გამოდგეს. არიან ზოგიერთი დამზავებელნი, რომელნიც ნაცისტებს თანაუგრძნობენ, რომლებიც აცხადებენ — ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელიაო. ისინი მთხოვენ კიდევაც, რომ მოლაპარაკება დავიწყო ჰიტლერთან და გამოვთხოვო მისი ძლევამოსილობის ნასუფრალი. ისინი, არსებითად, მთხოვენ თანამედროვე ბენედიქტე არნოლდი*) გავხდე და ხელი ავიღო ყოველივე იმაზე, რაც ჩემთვის ძვირფასია, ხელი ავიღო ჩემს ერთგულებაზე ჩვენი თავისუფლებისადმი, ჩვენი ეკლესიებისადმი, ჩვენი ქვეყნისადმი. ასეთი გეზი მე უარვყავი და კვლავ უარვყოფ. ამის ნაცვლად მე, რაკი ვიცი, რომ ამერიკელი ხალხის აზრსა და გადაწყვეტილებას გამოვხატავ, ვაცხადებ, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რისი ძალაც კი შეგვწევს, რათა გავანადგუროთ ჰიტლერი და მისი ნაცისტური ძალები“.

დასასრულ, რუზველტმა ამერიკელ ხალხს მოუწოდა იშრომოს რათა შეჰქმნას მტკიცე საფუძველზე დამყარებული დემოკრატიული მსოფლიო.

*) ბენედიქტე არნოლდი ამერიკელი გენერალი იყო, რომელმაც ამერიკელებს უღალატა დამოუკიდებლობისათვის ომის დროს.

ანგლიელ-ამერიკელ მოძრაობის ზრდა გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში

ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლა დღითი-დღე სულ უფროდაუფრო ფართოვდება. გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ ცნობით, ტრონჰაიმში იმდენად სერიოზული მღელვარება მოხდა, რომ არეულობის ჩასაქრობად გერმანელთა ჯარი გაიძახეს. ქალაქში ყველა კინოთეატრი დახურულია, რადგან ნორვეგიელთა ინგლისში გაქცევა სულ უფროდაუფრო ხშირდება, გერმანელთა სამხედრო-საზღვაო ხელისუფლებამ მრავალი სანაპირო საკონტროლო პუნქტი მოაწყო მთელს ნორვეგიაში. ყველა მცირე გემს გულდასმით სინჯავენ. ამ ღონისძიების მიუხედავად, ნორვეგიის თევზჭერი ფლოტის 10-მდე პროცენტმა ბლოკადის ხაზი გაარღვია და ინგლისს გაიპარა.

მეზღვაურთა დეზერტირობის ზრდის გამო სერიოზულად არის შეშფოთებული ვიშის მთავრობაც. როგორც იუნაიტედ პრესის საგენტო იუწყება, ზევრი ფრანგი მატროსი, საფრანგეთიდან გაქცევის მიზნით, სამუშაოდ შედის საგაჭრო გემზე. ლავალსა და დეაზე თავდასხმის შემდეგ საფრანგეთში ანტიგერმანული გამოსვლები გაძლიერდა, რაც მოსვენებას არ აძლევს ოკუპანტებს. დე ბრინონმა ამერიკელ ჟურნალისტებს განუცხადა, ვითომც გერმანელებმა პარიზის ჩრდილოეთ გარეუბნებში გავრცელებული ფურცლები აღმოაჩინეს, რომლებიც შეიცავენ მუქარას, რომ „ათ გერმანელს მოჰკლავენ თვითეული ანტიფაშისტის დასჯისათვის“. ამის გამო დე ბრინონმა აღნიშნა, რომ გერმანელებმა საფრანგეთის ხელისუფალნება დართეს უფრო მკაცრი ზომები მიიღონ ანტიფაშისტების წინააღმდეგ“. იტალიური გაზეთი „რეჯიმა ფაშისტა“ კი იძულებული აღიარა, რომ საფრანგეთში დღითი-დღე ძლიერდება ანტიგერმანული და ანტიიტალიური განწყობილება და „ფართო არალეგალური ბრძოლა“ სწარმოებს ოკუპანტების წინააღმდეგ. მაგალითად, ამას წინათ დაუპატიმრეს ყოფილი მიწათმოქმედების მინისტრი სენატორი პერიე, რომელსაც ბრალად დასდეს ინფორმაციის გადაცემა დე გოლის რადიოსადგურისათვის.

ჰოლანდიაში საბოტაჟის მრავალი აქტის შედეგად ბევრგან დაიწვა სახამებლის დამამზადებელი ქარხნები და გერმანელთა კონტროლის ქვეშ მყოფი ბოსტნეულის საწყობები. რამდენიმე აფეთქება მოხდა აგრეთვე გერმანელთა საომარი მასალის საწყობებში. ტელეგრაფის სადენებს განუწყვეტლივ სჭრიან. ამსტერდამში, დედოფალ ვილჰელმინას სასახლის წინ, ამას წინათ დიდი ნაციონალური დროშა გაჩნდა, რომელზედაც წარწერილი იყო ასო „ვ“ (გამარჯვების სიმბოლო).

გერმანიამ მთლიანად დაუმორჩილა ბელგიის მეურნეობა თავისი არმიის საჭიროებას, და 25 აგვისტოდან ატარებს ბელგიის საწარმოთა აღწერას. ყველა ეს საწარმო დაყოფილი იქნება ჯგუფებად „ავტორიტარული პრინციპების შესაბამისად“. ეს „პრინციპები“ ფაქტიურად იმით ამოიწურება, რომ იძულებით მოახდენენ მრეწველობის ტრესტირებას გერმანელ კომისართა კონტროლს ქვეშ. მაგრამ მუშები ყოველგვარად აბრკოლებენ ჰიტლერელთა მიერ მოწყობილ წარმოებათა მუშაობას, რადგან იციან, რომ მთელი პროდუქცია განკუთვნილია ფაშისტ ოკუპანტთა სამხედრო მიზნებისათვის.

ჩეხიის მუშებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ჩვენი პროდუქცია მსოფლიოში ყველაზე უარესი უნდა იყოს“. ახლა ეს ლოზუნგი ნორვეგიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიასა და ჩეხო-სლოვაკიაში შეავსეს ლოზუნგით: „იმუშავე ნელა“. ამ ქვეყნების მუშებმა გადასწყვიტეს უახლოეს ხანში მოაწყონ სპეციალური „ნელი შრომის კვირა“, რომელიც ფართო ანტიგერმანულ კამპანიად უნდა გადაიქცეს. ლონდონის რადიოს განცხადებით, ოკუპირებული ქვეყნების მუშები ახლაც ნელი ტემპით მუშაობენ, მაგრამ ამ კვირაში ისინი კიდევ უფრო ნელა იმუშავებენ.

დამონებულ ქვეყნებში ფართო მასების წინააღმდეგობის ზრდის გამო გაბოროტებულმა გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ფეზზე დააყენა გესტაპოს მთელი ძალები.

2 სექტემბერი (საკდესი).

ინგლის-თურქეთის ვაჭრობა

სტამბოლი, 2 სექტემბერი (საკდესი). ინგლისი და თურქეთი მოლაპარაკებას აწარმოებენ იმის შესახებ, რომ თურქეთს მიეცეს თანამედროვე სანავსადგურო მოწყობილობა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას ალექსანდრეტისა და მერსინის ნავსადგურთა სარეკონსტრუქციოდ.

გაზეთი „ვატანი“ იუწყება, რომ ინგლის-თურქეთის მოლაპარაკება ეხება აგრეთვე ინგლისსა და თურქეთს შორის საქონელბრუნვის გაფართოებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ უკვე მარტისა და აპრილის განმავლობაში ინგლისმა თურქეთში 7 მილიონი თურქული ლირის საქონელი შეიტანა.

ბერლინზე საბჭოთა და ინგლისის ავიაციის თავდასხმების შედეგები

ლონდონი, 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, გერმანიიდან ლისაბონში ჩასულ პირთა ცნობებით, საბჭოთა და ინგლისის ავიაციის თავდასხმების შედეგად ბერლინში მნიშვნელოვანი ნგრევა მოხდა. დანგრეულია შტეტინის ვაგზლის სამი კორპუსი, სერიოზულად დაზიანებულია პოტსდამის ვაგზალი. დანგრეულია აგრეთვე მრავალი შენობა შარლოტენბურგხეივანში. სარკინიგზო მიმოსვლა მოშლილია. მგზავრთა მიმოსვლა მთავარ სარკინიგზო მაგისტრალებზეც კი დიდად შეფერხებულია.

გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ინგლისის ავიაციის უკანასკნელმა თავდასხმებმა გაცილებით მეტი ზარალი გამოიწვია, ვიდრე წინა თავდასხმებმა. ინგლისელთა თვითმფრინავები დღისით თავს დაესხნენ ელექტროსადგურს ლილის ინდუსტრიულ რაიონში; თავდასხმამ ისეთი ნგრევა გამოიწვია, რომ სპეციალისტებმა გადასწყვიტეს სადგური არ აღადგინონ.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 2 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 1 სექტემბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები კვლავ დაესხნენ თავს კელნის სამხედრო ობიექტებს. თუმცა ეს თავდასხმა მცირე მასშტაბებით სწარმოებდა, მაგრამ დაკვირვებით დადასტურებულია, რომ ბომბარდირებამ კარგი შედეგი გამოიღო.

მტრის ავიაციამ 1 სექტემბერს, ღამით, ყუმბარა დააყარა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ერთერთ ოლქს, სადაც არის ერთგვარი ზიანი და მსხვერპლი. სხვა რაიონებში ზარალი უმნიშვნელოა, მსხვერპლიც მცირეა.

ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისის ავიაციამ 30 აგვისტოს, ღამით, კვლავ ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა ტრიპოლის ნავსაყუდელს. ჩვენმა ავიაციამ ბევრი ყუმბარა დააყარა ესპანეთის სანაპირო ქუჩას და ნავსაყუდელში თავმოყრილ გემებს. ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა.

საზღვაო ავიაციამ იერიში მიიტანა ბარდიის მახლობლად არსებულ საწყობებზე და რამდენიმე ადგილას ხანძარი და აფეთქება გამოიწვია. მძიმე ყუმბარმშენთა შენაერთები თავს დაესხნენ მარიცისა და კალატოს (როდოსის კუნძული) აეროდრომებს. ყუმბარები პირდაპირ მოხვდა მარიცის ანგარებსა და აეროდრომზე მდგომ თვითმფრინავებს.

ლამპედუზას კუნძულის მახლობლად ტორპედირებულ იქნა მტრის გემი.

ბასისნიის ფრონტზე პარტიზანების მცირე ჯგუფმა წარმატებით მიიტანა იერიში მტრის პოზიციებზე ვოლშეფიტის რაიონში და ხელთ იგდო ტყვეები.

მტრის თვითმფრინავებმა წუხელ მოახდინეს საჰაერო თავდასხმა ალექსანდრიაზე და სუეცის არხის რაიონზე. ბომბარდირების შედეგად მოკლულია 2 კაცი და დაჭრილია 43 კაცი, ზარალი უმნიშვნელოა.

ფინეთის ხელისუფალნი სასჯიკად სჯიან „სსრ კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობისა და მეგობრობის საზოგადოების“ ხელმძღვანელებს

სტოკჰოლმი, 2 სექტემბერი (საკდესი). შვეიცის დეპეშათა საგენტო გადმოგვცემს, რომ ფინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა „სსრ კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობისა და მეგობრობის საზოგადოების“ ხელმძღვანელს მაური რიუემს მიუსაჯეს 7 წლის პატიმრობა. საზოგადოების რიგითი წევრებს მიესაჯათ 3-დან 6 წლამდე პატიმრობა. სულ მსჯავრი დასდეს 12 კაცს.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში საფრანგეთის ელჩის ძიგამომთხრელი საქმიანობის შესახებ

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ კვლავ ამხელს ვიშის მთავრობის ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში ანრი-ეის, ბრალად სდებს მას პრონაცისტური პროპაგანდის მოწყობას ამერიკაში.

მოწინავე სტატიაში გაზეთი აცხადებს, რომ ვიშის მთავრობის აგენტები ჯაშუშურ საქმიანობას ეწევიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, უთვალთვალებენ გენერალ დე გოლის მომხრეებს და ამისათვის იყენებენ თავიანთ დიპლომატიურ მდგომარეობას.

გაზეთი მოითხოვს, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტონ ვიშის მთავრობასთან.

კოლეჯის დასაცავად

ბერნი, 2 სექტემბერი (საკდესი). ვიშიდან მიღებული ცნობით, ახალგაზრდა პატრიოტ კოლეტის საქციელმა საყოველთაო მოწონება და მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია მოსახლეობის ყველა ფენაში. მთელს საფრანგეთში გაისმის მძლავრი ხმები კოლეტის დასაცავად. ამერიკელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ „მოხალისეთა“ ანტისაბჭოთა ლეგიონმაც კი ხელისუფალთ მიჰმართა თხოვნით შეიწყალონ კოლეტი.

ინგლისის ტრედუნიონების კონგრესზე

ლონდონი, 2 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ტრედუნიონების ყოველწლიურ კონგრესზე, ედინბურგში, გამოვიდა ტრედუნიონების საბჭოს თავმჯდომარე ჯორჯ ჰიბსონი. იგი თავის სიტყვაში მიესალმა საბჭოთა კავშირს, როგორც ინგლისის მოკავშირეს.

ჰიბსონმა მაღალი შეფასება მისცა ჩერჩილის საქმიანობას და განაცხადა, რომ მუსოლინიმ — ამ „პონტოს ჭაობთა გაბერილმა ბაყაყმა“ — უკვე მიიღო ის, რაც ეკადრება, ხოლო ჰიტლერმა „იცის, თუ რა მოელის მას“.

შეეხო რა ინგლისის სამხედრო წარმოების საკითხს, ჰიბსონმა აღნიშნა, რომ საჭირო ხდება იმ სიძნელეთა გადალახვა, რომლებიც დაკავშირებულია მთელ ინგლისში გაბნეული ქარხნების დიდი რაოდენობით შექმნასთან, არმიაში კვალიფიციურ მუშების გაწვევასთან და კვალიფიციური ხელმძღვანელობის ნაკლებობასთან. მიუხედავად ამისა, — განაცხადა ჰიბსონმა, — ჩვენ „ისეთი სამრეწველო წარმოების სიმაღლეზე ავდიგართ, რომელიც მთელს ჩვენს მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს“.

ჰიბსონმა მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს იმ დახმარებისათვის, რასაც ისინი ინგლისს უწევენ. შემდეგ ჰიბსონი შეჩერდა ომის მიზნებისა და ომის შემდგომი რეკონსტრუქციის საკითხზე.

ედინბურგი, 2 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ტრედუნიონების გენსაბჭოს გენერალურმა მდივანმა სიტრინმა კონგრესზე დასამტკიცებლად გენერალური საბჭოს სახელით წარმოადგინა რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია ინგლისის მუშათა კლასის ურყევი ნებისყოფა — განაგრძოს ბრძოლა ჩაგვრისა და დამონების ჰიტლერული რეჟიმის სრულ მოსპობამდე და დემოკრატიისა და მშვიდობიანობის დამყარებამდე.

კონგრესი, — ნათქვამია რეზოლუციაში, — აღტაცებას გამოთქვამს ხალხისადმი, რომელიც, მძიმე განსაცდელისა და მტრის ულმობელი საჰაერო თავდასხმების მიუხედავად, ინარჩუნებს გაუტეხელ მამაცობასა და სულის მხნეობას. კონგრესი თავის ღრმა სიმპათიას უცხადებს იმათ ოჯახებსა და მეგობრებს, ვინც დაიღუპა ბრძოლაში ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში.

მადლობას უცხადებს რა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნებს იმ დახმარებისათვის, რაც მათ აღმოუჩინეს ინგლისს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში, რეზოლუცია განსაკუთრებით აღნიშნავს ჩერჩილ-რუზველტის მიერ გამოქვეყნებული ინგლის-ამერიკის ერთობლივი დეკლარაციისა და ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მნიშვნელობას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომში საბოლოო გამარჯვებისათვის.

„კონგრესი, — ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, — აღტაცებას გამოსთქვამს იმ საუცხოო ოსტატობისა და უძლეველი მამაცობის გამო, რაც გამოიჩინეს რუსეთის არმიამ და ხალხმა, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს ნაცისტი აგრესორების ვერაგულ, მხეცურ თავდასხმას. კონგრესი სიტყვას იძლევა, რომ პროფკავშირული მოძრაობა გააკეთებს ყოველივეს, რაც კი ძალუძს, რათა ინგლისსა და მოკავშირეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ აღმოუჩინონ დახმარება საბჭოთა კავშირს მისი ყოველგვარი იარაღითა და საომარი მასალით მომარაგების გზით, აგრეთვე ინგლისისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა შეთანხმებული მოქმედების გზით.

თანახმად პროფკავშირების და მუშათა მოძრაობის მიერ ნაკისრი ვალდებულებისა—დაეხმარონ საბჭოთა კავშირს ყოველი შესაძლო საშუალებით, კონგრესი წინადადებას იძლევა გატარდეს ორგანიზებული თანამშრომლობა რუსეთის პროფკავშირულ მოძრაობასთან. ამიტომ კონგრესი მხურვალედ უჭერს მხარს გენერალური საბჭოს წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას სსრკ პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს და გენერალური საბჭოს წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობისაგან შემდგარი ინგლის-რუსეთის პროფკავშირული კომიტეტი, რომელიც შენაცვლებით რეგულარულად შეიკრიბება თათბირებზე სსრ კავშირსა და ინგლისში ერთმანეთისათვის აზრებისა და ინფორმაციის გასაზიარებლად იმ პრობლემების გამო, რომლებსაც ხვდება ორივე ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობა, რაც შესაძლებელს გახდის განხორციელდეს თანამშრომლობა ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე“.

კონგრესი, — ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში,—აცხადებს ინგლისის მუშების სოლიდარობას ყველა ოკუპირებული ქვეყნის მუშებთან და მოუწოდებს მათ გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი, რათა დაასუსტონ და დაუძლურონ ნაცისტი დამპყრობნი.

თავდაცვის სახალხო ფონდი

საქართველოს მშრომელნი აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

„ზაგოტზერნოს“ წნორის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებს თავდაცვის ფონდში შეაქვთ ორი და მეტი დღის ხელფასი. ამხ. ი. ესაიამ შეიტანა 100 მანეთი და 800 მანეთის ობლიგაციები, ვ. სესიტაშვილმა—100 მანეთი და 600 მანეთის ობლიგაციები.

* * *

ხიღნაღის რაიონის სოფ. ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად შეაქვთ 2-3 შრომადღის ღირებულება. ამხ. რ. დოლმაზაშვილმა 600 მანეთის ობლიგაციები შეიტანა. მას ყოველთვიურად 6 შრომადღის ღირებულება შეაქვს. ამავე სოფლის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. გ. ბიძინაშვილმა 250 გრამი ვერცხლი შეიტანა, ამხ. თებრო შენკენაშვილმა—ოქროს საყურეები.

* * *

თელავის რაიხაბჭოს აღმახკომის თანამშრომლებმა: ამხ. პაატაშვილმა თავდაცვის ფონდში ერთდროულად შეიტანა 200 მანეთი, 1.000 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად შეაქვს 2 დღის ხელფასი; ამხ. ციხისთავმა შეიტანა 250 მანეთი და 1.000 მანეთის ობლიგაციები, აგრეთვე ყოველთვიურად შეაქვს 2 დღის ხელფასი; ამხ. დალაქიშვილმა—1.000 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად —2 დღის ხელფასი.

* * *

ბორჯომის რაიონის მშრომელებმა 1 სექტემბრისათვის თავდაცვის სახალხო ფონდში შეიტანეს 593.400 მანეთი. აქედან 480.769 მანეთის ობლიგაციები, 112.641 მანეთი ნაღდი ფული და გადარიცხული თანხა; ამას გარდა შეტანილია 22 გრამი ოქრო და 1.783 გრამი ვერცხლი.

გორელ კომკავშირელთა ინიციატივით გორის ახალგაზრდებმა საკონსერვო ქარხანაში გამიმიუშავეს 322 დღე და გამომუშავებული 1200 მან. შეიტანეს თავდაცვის ფონდში. **სურათზე:** გორის რკინიგზის სკოლისა და 1-ლი სკოლის მოსწავლენი მუშაობენ ქილების სარეცხ მანქანაზე.

ფოტო **რ. აკოფოვისა.**

1.854 კილოგრამი ხორცი თავდაცვის ფონდში

ბორჩალო („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს თავდაცვის სახალხო ფონდში შრომადღეების, ძვირფასი განძეულობისა და ფულადი სახსრების გარდა მასობრივად შეაქვთ კვების პროდუქტები, მაგალითად ხორცი. სოფ. ქაფანაჩის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ ფონდში შეიტანა 159 კილოგრამი ხორცი, სოფ. კიზილ-აჯილოს შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ —200 კილოგრამი, ბორჩალოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 432 კილოგრამი, სოფ. პატარა-გუგანოს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ—165 კილოგრამი, სოფ. შაუმიანის „ლენინავადის“ კოლმეურნეობამ 412 კილოგრამი, სოფ. ხოჯორნის კოლმეურნეობამ — 215 კილოგრამი და სოფ გიულ-ბალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 271 კილოგრამი. სულ ფონდს გადაეცა 1.854 კილოგრამი ხორცი.

საჩუქრები წითელარმიელებს

ბორჯომის რაიონის მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებით უგზავნიან საჩუქრებს ფრონტზე წითელი არმიის მებრძოლებს. ორგანიზებული წესით უკვე გაგზავნილია 8 ამანათი: 1.162 კილოფი პაპიროსი, 32 წყვილი თბილი წინდები, 144 კილოგრამი ნამცხვარი, 85 კილოგრამი კამფეტი, 144 ნაჭერი ხელის საპონი, მაიკები, ტრუსები, ცხვირსახოცები, ხელთათმანები, რვეულები, კონვერტები, თეთრი ძაფი, თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, ბინტი და სხვ.

ამანათების გაგზავნასთან ერთად რაიონის მშრომელები და დიასახლისები წითელ მებრძოლებს სწერენ გულთბილ ამფრთოვანებელ წერილებს. დიასახლისები: ელენე კირიაზოვა, არფენიკა გელაშვილი, მედიკ საიანოვა, ეკატერინე კარტაშევა, იაგუშ აღეიანეცი, ქსენია სტეფანოვა, თამარ გელაშვილი, საშა გელაშვილი და სხვ. თავის წერილებში გულწრფელ სალამს უძღვნიან წითელი არმიის მებრძოლებს და უსურვებენ ფაშისტ ქვეწარმავლებზე გამარჯვებას, ამასთან ერთად პირობას იძლევიან, რომ იმუშავებენ გაათკეცებული ენერგიით და თავისი შრომით დაეხმარებიან გმირ მებრძოლებს მტრის განადგურებაში.

თეატრალური სეზონი თბილისში

1941-42 წლის თეატრალური სეზონი თბილისში 30 აგვისტოს დაიწყო.

ვრიბოედოვის თეატრმა სეზონი გახსნა ისტორიულ-თავდაცვითი პიესით „სუვოროვი“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ტოვსტონოგოვმა, მხატვრულად გააფორმა ლოქტინმა. მთავარ როლებს ასრულებენ: ვიაზემსკი (სუვოროვი), ლიპნიცკი (ბაგრატიონი), მიუფკე, ბოდროვი, ბრაგინი, სმირნოვი, ზახაროვა და სხვები. პრემიერა წარმატებით ჩატარდა. მაყურებელმა სპექტაკლის მონაწილეებს და დამდგმელს მხურვალე ოვაციები გუმართა.

სომხური დრამის თეატრმა სეზონის პირველ პრემიერად გვიჩვენა ისტორიული პიესა „რუზან“. პიესა დადგა რეჟ. ა. აბარიანმა, მხატვრული გაფორმება—ნალბანდიანისა, მთავარ როლებს ასრულებენ: ალიხანიანი, ბეროიანი, ბოჯორიანი, ამირბეგიანი, ლუსინიანი და სხვები. სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა. დამსწრე საზოგადოებამ რეჟისორი და მსახიობები მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

აზერბაიჯანულმა თეატრმა სეზონი გახსნა კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტით“.

მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა სეზონი გახსნა ბრუნშტეინის პიესით „გაგრძელება იქნება“. პიესა დადგა ნ. მარშაკმა, მხატვრობა—ი. შტინბერგისა. მთავარ როლებს ასრულებენ: რუსლანოვი, კიროვა, იუდინი, მარკეიჩი, ლებედევი, ნერიასოვი, ენგელგარდტი, გუტმანოვიჩი და სხვ.

მოზარდ მაყურებელთა სომხურმა თეატრმა სეზონი დაიწყო „ჩაპაევით“ (დადგმა კაპანაკიანისა, მხატვრობა—კიროკოსიანისა).

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა სეზონი გახსნა 1 სექტემბერს პიესით „თოვლის დედოფალი“. დადგმა ეკუთვნის გ. დარისპანაშვილს, მხატვრობა—ე. ახლედიანს. სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა.

ქუთაისის თეატრში

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი, რომელმაც სეზონი 23 აგვისტოს დაიწყო ფრ. ვოლფის პიესით „პროფესორი მამლოკი“ (დადგმა გრ. სულიაშვილისა), სექტემბრის პირველ რიცხვებში უჩვენებს მეორე პრემიერას: კ. სიმონოვის პიესას „ეაბუკი ჩვენი ქალაქიდან“ (თარგმანი შ. კილოსანიძისა). პიესას დგამს ს. ოყროშიძე. მორიგ პრემიერებად თეატრი ამზადებს გერგელისა და ლატოვსკის „ჩემ შვილს“, ფინისა და გუსის „ბერლინის გასაღებს“ და ლ. გოთუას „ერეკლე მეორეს“.

ბრეშუარების სამამულო ომის საკითხებზე

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა არაერთი ბროშურა გამოსცა ქართულ ენაზე ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების საკითხებზე და საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაზე ჰიტლერის ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ.

გამოიცა კრებული სათაურით „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ კრებულში მოთავსებულია სამამულო ომის ეპიზოდები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „პრავდაში“, „იზვესტიაში“, „კომსომოლსკაია პრავდაში“, „კრასნაია ზვეზდაში“, „კრასნი ფლოტში“ და „ნასტრაჟეი როდინაში“. გამოიცა მწერალ-აკადემიკოსის ალექსი ტოლსტოის ბროშურა „რას ვიცავთ ჩვენ“, გ. ალექსანდროვის ბროშურა „ფაშიზმი—კაცობრიობის მოსისხლე მტერი“, ა. ისბახის „ბრძოლის დღეები“, ა. შპირტის „ხედლეოლი და ომი“, ა. ეფიკოვის „არტილერიის ცეცხლი“ და სხვ.

ქართულ ეურნალ „ბოლშევიკის“ რედაქციამ გამოსცა აკადემიკოსების—ნ. მუსხელიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. ახლედიანის და პროფესორ ლ. გოკიელის ბროშურა „ფაშიზმი მეცნიერების მტერია“.

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა სამამულო ომისადმი მიძღვნილი ქართველ მწერალთა ლექსებისა და მოთხრობების კრებული სათაურით: „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორს სამამულო ომისადმი მიძღვნილი მრავალი ბროშურა აქვს გადაცემული წარმოებაში, რომლებიც უახლოეს დღეებში გამოვა. (საქდესი).

მარჯანიშვილის თეატრის ახალი სეზონი

ახალი თეატრალური სეზონი იწყება სამამულო ომის პირობებში, როცა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ დარაზმა თავისი ძალები მეოცე საუკუნის ბარბაროსთა გასანადგურებლად. ისევე როგორც ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში, თეატრალური ხელოვნებაც სამამულო ომში გამარჯვების საქმეს ემსახურება. ამ მიზანდასახულების თანახმად ჩვენი თეატრის რეპერტუარი ისეა აგებული, რომ უპასუხოს ჩვენი ხალხის პატრიოტულ აღტყინებას. ჩვენმა სპექტაკლებმა კიდევ უფრო უნდა გაალვივონ სიყვარული სამშობლოსადმი და გააასკეცონ სიძულვილი ვერაგი მტრისადმ